


თვითმმართველი ქალაქი რუსთავის
მერია



თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ეკონომიკური
განვითარების

საშუალოვადიანი პროგრამა

სტრატეგია(2013-2017)

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ეკონომიკური განვითარების

საშუალოვადიანი პროგრამა

(2013-2017)

1) შესავალი

გეოგრაფიული მდებარეობა

ქალაქი რუსთავი ქვემო ქართლის ადმინისტრაციული ცენტრია. იგი მდებარეობს ქვემო ქართლის ვაკეზე 41,5 ჩრდილოეთის განედსა და 45.2 აღმოსავლეთის გრძედზე, საქართველოს დედაქალაქიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, ზღვის დონიდან დაახლოებით 350 მეტრზე. მისი ტერიტორია 60.6 კვ.კმ.-ს შეადგენს.

დასავლეთიდან რუსთავს ესაზღვრება იალღუჯისა და ჩათმის მთები, ხოლო აღმოსავლეთით გარდაბნისა და ფონიჭალის ველები. ქალაქს მარცხენა და მარჯვენა სანაპიროდ ყოფს მდინარე მტკვარი. ქალაქის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს ე.წ. „ძველი რუსთავი“, ხოლო მარჯვენა სანაპიროზე - ე.წ. „ახალი რუსთავი“. რუსთავს ესაზღვრება გარდაბნისა და მარნეულის მუნიციპალიტეტები.

ქალაქ რუსთავი დედაქალაქის ცენტრიდან დაშორებულია 27 კილომეტრით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან 20 კილომეტრით, სომხეთის რესპუბლიკის საზღვრიდან - 45 კილომეტრით, ხოლო აზერბაიჯანის საზღვრიდან - 30 კილომეტრით.

რუსთავი მაცხოვრებელთა სიდიდით მესამე ქალაქია საქართველოში. იგი მრავალენოვანი მოსახლეობით, სხვადასხვა რელიგიებსა და ეთნიკურ უმცირესობებთან შემწყნარებლური და ტოლერანტული გარემოთი გამოირჩევა.

ქალაქ რუსთავის მახლობლად გადის რეგიონული საკომუნიკაციო დერეფანი - TRACECA.

ქალაქის მარცხენა სანაპიროს ესაზღვრება საქართველოს ცენტრალური სარკინიგზო მაგისტრალი და უახლესი რკინიგზის სადგურია „რუსთავი“. ქალაქ რუსთავის ტერიტორიას კვეთს: თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალი და თბილისი-ერევნის სარკინიგზო მაგისტრალი.

ქალაქ რუსთავზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო მაგისტრალი - ს4 „თბილისი - წითელი ხიდი (აზერბაიჯანის საზღვარი)“.

შიდა სახელმწიფოებრივი გზებია:

-შ-32 „თბილისი - გაჩიანი - რუსთავი, სიგრძე 28 კმ;

-შ-68 „რუსთავი (ხიდიდან)- გარდაბანი - ვახტანგისი (აზერბაიჯანის საზღვარი)“, სიგრძე 30,0 კმ;

-შ-69 „გამარჯვება - რუსთავი“, სიგრძე 7,4 კმ.

რუსთავი ერთ-ერთი უძველესი ქალაქია საქართველოში. XX საუკუნის ორმოციან წლებში ისტორიული რუსთავის მიდამოებში დაიწყო მეტალურგიული ქარხნისა (1944 წ.) და ახალი ქალაქის მშენებლობა. ამჟამად ის საქართველოს ყველაზე ახალგაზრდა ქალაქად ითვლება.

კლიმატი

ქალაქ რუსთავი აშენებულია უნაყოფო სტეპის ტერიტორიაზე. მისი კლიმატი გარდამავალია ხმელთაშუა ზღვისა და სტეპის ჰავას შორის. მის ტერიტორიაზე მწვანე საფარის ნაკლებობა აღინიშნება. იგი ხასიათდება ზომიერად ცივი ზამთრითა და მშრალი, ცხელი ზაფხულით.

იანვრის საშუალო ტემპერატურაა +0.3 გრადუსი, ივლისის – +25.3, ნალექების რაოდენობა – 390 მმ წელიწადში. ქალაქ რუსთავისათვის დამახასიათებელია მზიან დღეთა სიმრავლე.

მიწის რესურსი

2009 წლის მონაცემებით ქალაქ რუსთავის მიწის ფონდი **7189** ჰა-ს შეადგენს. ქალაქ რუსთავს აქვს **1399** ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი, რომელიც მთლიანად კერძო საკუთრებაშია გადაცემული.

ქალაქ რუსთავის კუთვნილი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფასი ქალაქის საკრებულოს მიერ ყოველწლიურად ნორმატიული აქტით განისაზღვრება.

მიწის რესურსების ოპტიმალურად და ეფექტურად გამოყენების მიზნით მიმდინარეობს ქალაქ რუსთავის ურბანული დაგეგმარების გენერალური გეგმის შემუშავება.

წყლის რესურსები

ქალაქს შუაზე ყოფს მდინარე მტკვარი, რომლის მონაკვეთი (ქალაქის ტერიტორიაზე) 4 კმ-ს შეადგენს.

მდინარე მტკვრის ნაპირებზე მოიპოვება ინერტული მასალა (ქვიშა-ხრეში) და მოწმედებს წიაღით სარგებლობის ლიცენზიები. ქალაქ რუსთავს ეკუთვნის მარნეულის მუნიციპალიტეტში, მდინარე ხრამზე არსებული სასმელი წყლის რეზერვუარი (საცავები) საერთო მოცულობით 30 000 მ³.

უკვე 20წელია მწობრიდანაა გამოსული და არ ფუნქციონირებს ქალაქის საირიგაციო სისტემა. მდინარე მტკვარზე იყო რამდენიმე ბაზა, საიდანაც ქალაქს ტექნიკური წყალი მიეწოდებოდა. ბაზები აღარ არსებობს, ასევე განადგურებულია საირიგაციო სისტემის მთელი ინფრასტრუქტურა. ქალაქის სარწყავი წყლით უზრუნველყოფისათვის საჭიროა აშენდეს ახალი ბაზები და შეიქმნას ახალი სისტემა

ქალაქ რუსთავის ტერიტორიაზე, კერძოდ მდინარე მტკვრის ხეობაში, განთავსებულია **934** ჰა ფართობზე განლაგებული ადგილობრივი ე.წ. ჭალის ტყე, სადაც ძირითადად ხარობს ფოთლოვანი მცენარეები.

მდინარე მტკვარზე მთელი წლის განმავლობაში დაშვებულია მხოლოდ სამოყვარულო თევზჭერა, რადგან მდინარე მტკვარში არ მოიპოვება ჭერაკრძალული თევზების სახეობები.

2) სოციალ-ეკონომიკური პროფილი

2.1. მოსახლეობა

დემოგრაფიული დინამიკა

მოსახლეობა

ქ.რუსთავის ეთნიკურად მრავალფეროვანი ქალაქია. უმრავლესობა მოსახლეობის ქართველია. 2012 წლის სტატისტიკის მონაცემებით რუსთავის მოსახლეობის რაოდენობამ 122 500 შეადგინა

2004 -2007 წლებში ქალაქ რუსთავის მოსახლეობის მთლიანი რაოდენობა 1,6% ით გაიზარდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ზრდის პიკი იყო 2005 წელს, რის შემდეგაც დინამიკა კლებისკენ წავიდა (თითქმის -1 %) და 2007 წლისათვის ქალაქის მოსახლეობის რაოდენობამ 117 316 ადამიანი შეადგინა.)

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შემდგომ წლებში დაფიქსირდა მოსახლეობის ზრდის ტენდენცია და 2010 წლისათვის მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა 120 800 კაცამდე, ხოლო 2011 წელს მოსახლეობის რაოდენობამ 122 500 შეადგინა. აქედან ქართველები შეადგენენ მოსახლეობის 85,8 % -ს , რუსები 3 %, სომხები 2,4%, აზერბაიჯანელები 4,3%, სხვა ეროვნებები 4,5%.

შობადობის კოეფიციენტი უმნიშვნელოდ გაზრდილია და 2011 წლის მონაცემებით შეადგენს 17.1. უმნიშვნელოდ შემცირებულია მოკვდავობის კოეფიციენტი, რომელიც 2011 წლის მონაცემებით შეადგენს 9.1, ხოლო ჩვილ ბავშვთა მოკვდავობის კოეფიციენტი ტოლია 8.1.

დანართი # 6

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2004-2005 წლებში დაფიქსირდა ქალაქის მუდმივი მაცხოვრებლების დადებითი მიგრაციული მატება, ხოლო უკვე 2006-2007 წლებში ადგილი ქონდა მოსახლეობის გასვლას ქალაქიდან..

2010 წლის მონაცემებით მიგრაციული სალდო შეადგენს 971 კაცს.

2007 წლის მონაცემებით ქალაქში 3 875 იძულებით გადაადგილებული პირი იყო. თუმცა 2008 წლის აგვისტოში, საომარი მოქმედებების შედეგად ქ. რუსთავში დევნილთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2008 წლის 8 აგვისტოდან 15 აგვისტომდე შიდა ქართლიდან რუსთავში ჩასული 7 000 მდე დევნილი აღრიცხეს. 2009 წლის 1 იანვრის მონაცემებით კი ქალაქ რუსთავში შიდა ქართლიდან დევნილი 120 ოჯახი, (329 ადამიანი) დარჩა.

ეკონომიკური აქტივობა დასაქმება

დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობა საწარმოს ზომის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება

მსხვილი საწარმოები – 27,1%

საშუალო საწარმოები – 14,2%

მცირე საწარმოები – 58,7%

დარგებსა და სფეროებზე დასაქმებულები შემდეგი რაოდენობით არიან წარმოდგენილი:

დამამუშავებელი მრეწველობა – 43,5%

ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება – განაწილება – 13,6%

ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი – 12,9%

ჯანდაცვა და სოციალური დახმარება – 9,7%

დანარჩენი – 20,3%

2.2 ეკონომიკა და ინფრასტრუქტურა

- ეკონომიკა.

ქალაქის ტერიტორიაზე ეკონომიკის სხვადასხვა დარგებსა და სფეროებში 26 მსხვილი საწარმოა, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია დამამუშავებელი მრეწველობის მსხვილი კომპანიები: ს.ს „აზოტი“, ს.ს. „რუსთავის მეტალურგიული ქარხანა“, ს.ს. „ჰაიდელბერგ ჯორჯია“, ს.ს. „ჯეოსთილი“, ს.ს. „ყაზბეგი“, და სხვა.

2007 წლის მდგომარეობით, ქალაქ რუსთავის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი დამამუშავებელ მრეწველობას უჭირავს და მისი წილი 89,9% შეადგენს, 2,7% მშენებლობაზე მოდის, ხოლო დანარჩენი დარგებისა და სფეროების ხვედრითი წილები მეტად უმნიშვნელოა.

2004-2007 წლებში ეკონომიკის სხვადასხვა დარგებსა და სფეროებში გამოშვებული პროდუქციის და მომსახურების ღირებულების ზრდამ 98,3% შეადგინა.

რუსთავში მეწარმეობის განვითარების სამ ყველაზე ხელისშემშლელ გარემოებად ასახელებენ: მოსახლეობის მწირ შემოსავლებს -32 %, არასრულყოფილ საგადასახადო კანონმდებლობას და მეწარმეთა უფლებების დაუცველობას - 40 %, სუსტად განვითარებულ სამეწარმეო აზროვნებას.

UNDP-ის პროექტის ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული მმართველობის განვითარება ქვემო ქართლში ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის შესაბამისად, მეწარმეობის განვითარებისათვის ადგილობრივი ხელისუფლებიდან აუცილებელია შემდეგი პირობების უზრუნველყოფა: უწყვეტი ელექტროენერჯის მიწოდება - 33 %. სტაბილური გარემოს შექმნა - 26 %, მხარდაჭერა სარეკლამო მომსახურებისას - 8% და ახალ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობაში.

რუსთაველ მეწარმეთა წამომადგენლებს ძირითადად კვალიფიციური კადრების დეფიციტი, მიგრაციის მაღალი პროცენტი და არაადეკვატურ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემები აწუხებთ. ქალაქის მეწარმეებს ესაჭიროებათ ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციების დახმარება გრანტებისა და სესხების აღებაში, ასევე სხვა ფორმებთან დაკავშირებაში.

საჭიროა ეფექტური თანამშრომლობა ადგილობრივ მეწარმეებსა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის. რუსთავის თვითმმართველობამ სამეწარმეო გარემოს განვითარების მიზნით შეუძლია უზრუნველყოს მეწარმეთათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება და ერთგვარი ბიზნეს-საინფორმაციო ბანკის შექმნა.

2006 წელს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ და კანონი „თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“. ამ კანონებით განისაზღვრა „თვითმმართველობის ქონების“ ცნება. საქართველოში სახელმწიფო და ადგილობრივი (მუნიციპალური) ქონების გამიჯვნის პროცესი 2006 წლიდან დაიწყო და ჯერ კიდევ არ დასრულებულა. 2008 წლის ბოლოსთვის ქალაქ რუსთავის თვითმმართველობას ბაგა-ბაღების დაახლოებით 21 შენობა, ბიბლიოთეკები, სამუსიკო სკოლები, კულტურის ობიექტები და საერთო

საცხოვრებლების ნაწილი გადაეცა. ამ ქონების ნაწილი უკვე გაყიდულია. 2007 წლის მონაცემებით, ქალაქ რუსთავში აღრიცხულია 2 269 საცხოვრებელი სახლი,

- **წარმოება**

რუსთავში არის 60 მსხვილი და საშუალო საწარმო, რომელთა ნაწარმი მიეწოდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს, აქ არის ტყავის გადამამუშავებელი ქარხანა, აზოტის ქარხანა, იგი აწარმოებს და ექსპორტზე გააქვს, გვარჯილა და ამონიუმის სულფატი. ქართული ფოლადის ქარხანა, რომელიც აწარმოებს და ექსპორტზე გააქვს : არმატურა ლითონი, მილები, მილგასაყვანი არმატურები. ჰაიდელბერგ ცემენტის ქარხანა, ჯეოსტილის ქარხანა, რომელიც აწარმოებს: არმატურას.

დანართი #4

- **ტურიზმი**

რუსთავში დღითიდღე მატულობს ტურისტების რაოდენობა, გაიხსნა თანამედროვე სტანდარტების მქონე ავტოდრომი, რომელი მასპინძლობს სხვადასხვა ტურნირებს, გაჩნდა მოთხოვნილება სასტუმროების და ქალაქს შეემატა რამოდენიმე ახალი სასტუმრო.

- **მომსახურების სფერო**

ქ. რუსთავში ფუნქციონირებს შსს მომსახურების სააგენტო, იუსტიციის სახლი.

- **მცირე და საშუალო ბიზნესი**

ქ. რუსთავში არის განვითარებული მცირე და საშუალო ბიზნესი, მათი რიცხვი დაახლოებით 2000 მდე შეადგენს, მათ შორის არის სილამაზის სალონები, აფთიაქები, დაბადების დღის ცენტრები, კვების ობიექტები, საცხოვრებელი, ავტო-ტექ მომსახურებები(სამრეცხაოები) მინი ცეხები (ავეჯის, მეტალოპლასტმასის). არის მრავალი მინი და დიდი სუპერმარკეტები, ქალაქში არის დიდი ბაზარი და ბაზრობა. რუსთავში ვაჭრობის დონემ იმატა, მას შემდეგ რაც გაიხსნა კავკასიაში უმსხვილესი ავტობაზრობა. ქალაქში მრავლად არის რესტორნები, კაფეები და ბარები.

- **ბუნებრივი გაზი და ელექტროენერჯია**

მთელ ქალაქს უწყვეტად მიეწოდება ბუნებრივი აირი და ელექტროენერჯია.

2.3 ინფრასტრუქტურა

ქალაქში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების უმრავლესობა განხორციელდა, მიმდინარეობს კანალიზაციისა და სასმელი წყლის მილების გამოცვლა, დაიგო გზის საფარი, როგორც ცენტრალურ გზებზე ასევე შიდა ქუჩებისა და ეზოების ნაწილი, შეკეთდა ლიფტები, გაიხსნა კორტების მოედანი, საცურაო აუზი, მიმდინარეობს რაგბის სტადიონის მშენებლობა და პარკის რეაბილიტაცია, ასევე დაგეგმილია სპორტის სასახლის და აკვა პარკის მშენებლობა.

დანართი # 3

2008-2012 წწ. ქალაქში მოხდა 654 ლიფტის შეკეთება, 2013 წელს დაგეგმილია კიდევ 186 ლიფტის რემონტი.

ქალაქის კავშირგაბმულობის სისტემა კარგადაა განვითარებული, გამართულად ფუნქციონირებს მობილური კავშირგაბმულობისა და ინტერნეტის ქსელები: „სჯს“, „სილქნეტი“, „მაგთი“, „ჯეოსელი“, „ბილაინი“, „კავკასუს ონლაინი“

• სასმელი წყალი და კანალიზაცია

რუსთავში მცხოვრები ოჯახები პრაქტიკულად სრულად არის უზრუნველყოფილი ცენტრალური წყალმომარაგებით (კვირაში 126 საათი), საკანალიზაციო სისტემით და გაზომომარაგებით შპს „რუსთავწყლის“ ინფორმაციით, მიმდინარეობს რუსთავის სასმელი წყლით უწყვეტად მომარაგებისთვის საჭირო სამუშაოები.

ქალაქის წყალმომარაგებში 2009-2012 წწ განხორციელდა 13,340,000 ლარის ინვესტირება, რამაც შესაძლებელი გახდა ჩატარებულიყო სათავე ნაგებობის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები.

აქტიურად მიმდინარეობს 64კმ-იანი მაგისტრალის, ქალაქის შიდა კვარტალური 265 კმ ქსელის რეაბილიტაცია, შეიცვალა კორპუსების შიდა გაყვანილობის 50 %

მოხდა ფოლადის მილის შეცვლა 1200 მმ-იანი წყალსადენით.

გაწეული სამუშაოს შედეგად მივაღწიეთ ქალაქის 24 საათიან წყალმომარაგებას

დაიწყო ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროექტი. ეს პროცესი მნიშვნელოვნად გააიაფებს მომხმარებლისთვის წყლის საფასურს. ასევე შეამცირებს მოსახლეობაში წყლის ხარჯვას .(დღეისთვის 4 სულიანი ოჯახი იხდის 12 ლარს ხოლო გამრიცხველიანების შედეგად, როგორც გვიჩვენებს სტატისტიკა თანხა შეადგენს 5-6 ლარს.)

• მუნიციპალური ტრანსპორტი

ქალაქ რუსთავში შიდასაქალაქო მარშრუტებზე მოძრავი ტრანსპორტის სახეობებია: მუნიციპალური ტრანსპორტი (ავტობუსები), კერძო სამარშრუტო მიკროავტობუსები და ტაქსი. ქალაქში მოწესრიგებულია საგზაო მოძრაობის ნიშნები და შუქნიშნები.

შიდა საქალაქო, საგარეუბნო და საქალაქთაშორისო მარშრუტებზე მგზავრების გადაყვანას მუნიციპალური ავტობუსები და კერძო სამარშრუტო მიკროავტობუსები უზრუნველყოფენ.

დღეის მდგომარეობით ქალაქ რუსთავში მუნიციპალური ტრანსპორტის მარშრუტები დადგენილია.

მარშრუტებზე მომუშავე ავტობუსებზე რეგულირების და კონტროლის მიზნით დაყენებულია GPRS სისტემა, ხოლო ავტობუსების 23 გაჩერებაზე დამონტაჟებულია ელექტრონული ტაბლოები, რომელზეც აისახება ავტობუსების მოძრაობის განრიგი.

გარკვეული კატეგორიის მოქალაქეებზე ვრცელდება მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის შეღავათები.

- გზები

ქალაქ რუსთავზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო მაგისტრალი - ს4 „თბილისი - წითელი ხიდი (აზერბაიჯანის საზღვარი)“.

შიდა სახელმწიფოებრივი გზებია:

-შ-32 „თბილისი - გაჩიანი - რუსთავი, სიგრძე 28 კმ;

-შ-68 „რუსთავი (ხიდიდან)- გარდაბანი - ვახტანგისი (აზერბაიჯანის საზღვარი)“, სიგრძე 30.0 კმ;

-შ-69 „გამარჯვება - რუსთავი“, სიგრძე 7,4 კმ.

ქალაქ რუსთავის ადგილობრივი ალდგენილი გზების საერთო რაოდენობა 617 156 მ2:

შიდა კვარტალური და ცენტრალური გზები -463 280 მ2

შიდა ეზოები -153 876 მ2

2.4. სოციალურ-კულტურული,განათლების, ახალგაზრდული და სპორტული სფეროები

კულტურა-ახალგაზრდობა

რუსთავის ისტორიული მუზეუმი დაარსდა 1950წ.

1967 წელს გაიხსნა რუსთავის დრამატული თეატრი, რომელიც 500 მაყურებელზეა გათვლილი. განხორციელდა თეატრის რეაბილიტაცია. ამჟამად მას ეწოდება რუსთავის მუნიციპალური თეატრი.

1968 წლიდან არსებობს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „რუსთავი“.

ქალაქს გააჩნია კინოთეატრი, „რუსთაველი“. ასევე კულტურის ცენტრი და კულტურის სახლი. ა.ა.ი.პ. „ახალგაზრდული ცენტრი“ ქალაქში არსებობს საბიბლიოთეკო ქსელი, ხელოვნების სკოლა, სამუსიკო სასწავლებლები, სამხატვრო სკოლა, ფოლკლორის სკოლა, კამერული და ხალხურ საკრავთა ორკესტრები. ქალაქში კარგადაა განვითარებული ხალხური რეწვის ხელოვნება.

ქალაქს საკუთრებაში გაჩნია თანამედროვე სტანდარტების მოძრავი სცენა და გახმოვანების აპარატურა .

ქალაქ რუსთავის თვითმმართველობა ყოველწლიურად გეგმავს და ატარებს სხვადასხვა სახის კულტურულ ღონისძიებებს.

უმაღლესი განათლების დაწესებულებები

ქალაქში ერთი უმაღლესი სასწავლებელია (აკრედიტებული).

სკოლამდელი დაწესებულებები

2012 წლის მონაცემებით ქ. რუსთავის სკოლამდელი აღზრდის 21. დაწესებულებაში (ბაგა-ბაღებში) 5200 აღსაზრდელი ირიცხებოდა. 2008 წელს რუსთავის ბაგა-ბაღებს

იურიდიული სტატუსი შეეცვალა, შეიქმნა არაკომერციული იურიდიული პირი `ბაგა-ბაღების გაერთიანება`, რომელიც ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან და მშობელთა მიერ გადახდილი გადასახადებით.

ბაგა-ბაღების შენობების უმრავლესობა რეაბილიტაციას საჭიროებს, აგრეთვე არის საჭიროება ახალი ბაგა-ბაღების მშენებლობის.

გადამზადება ესაჭიროებათ სკოლამდელი აღზრდის პედაგოგებს.

სკოლები, პროფესიული გადამზადების ცენტრები, კოლეჯები

ქალაქის საგანმანათლებლო სისტემას ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანო - რესურს ცენტრი.

2012 წლის მდგომარეობით ქალაქ რუსთავში ფუნქციონირებს 26 საჯარო და 16 კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა 20231 მოსწავლით. ქალაქ რუსთავის საჯარო სკოლები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაშია.

ქალაქში ფუნქციონირებს ორი გადამზადების ცენტრი “მოდუსი“ (575 მოსწავლე) და „თბილისის ღია საწავლო უნივერსიტეტი“ (38 მოსწავლე).

2011 წელს ქალაქ რუსთავის სკოლებში განხორციელდა სამინისტროს არაერთი პროექტი, გარემონტდა 7 სკოლა; გაკეთდა 4 სპორტული მოედანი; 26 საჯარო სკოლას გადაერიცხა თანხა სასწავლო წიგნების შესაძენად სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებისთვის); ყველა სკოლამ ეტაპობრივად მიიღო კომპიუტერული ტექნიკა და უსადენო ინტერნეტი. 2010 წლიდან დაიწყო და თითქმის დასრულებულია ქალაქის ყველა საჯარო სკოლის რებილიტაცია. 2011 წელს ქალაქ რუსთავის ბიუჯეტიდან 260 000 ლარი დაიხარჯა ყველა საჯარო სკოლისთვის ინვენტარის შესაძენად.

სპორტის ინდივიდუალური სახეობების უკეთ მართვის მიზნით 2010 წელს შეიქმნა ქალაქ რუსთავის სასპორტო სკოლების გაერთიანება, რომელმაც მანამდე არსებული 4 სასპორტო სკოლა და ქალაქში არსებული სპორტული ბაზები გააერთიანა.

ამ დროისათვის გაერთიანებას 1200-მდე აღსაზრდელი ჰყავს.

ამჟამად სულ ქალაქის ტერიტორიაზე ერთი ცენტრალური სტადიონი, ერთი რაგბის სტადიონი, 6 მცირე საფეხბურთო სტადიონი, ჩოგბურთის კორტები, 2 საცურაო კომპლექსი და კალათბურთის დარბაზი და რამოდენიმე მცირე დარბაზია განთავსებული. ქალაქის შესასვლელში შენდება ახალი ავტოდრომი, ხოლო მე-18 მიკრორაიონის ტერიტორიაზე საერთაშორისო სტანდარტების სარაგბო სპორტული კომპლექსი.

2011 წლიდან თვითმმართველობის დაფინანსებით ქალაქის საჩოგბურთო კორტების სრული რეაბილიტაცია დამთავრდა. ასევე იგეგმება 2500 ადამიანზე გათვლილი სპორტის სასახლის მშენებლობა

- ისტორიული მემკვიდრეობა

ქალაქის ისტორიული მემკვიდრეობიდან აღსანიშნავია „რუსთავის ციხე“ და ძველი ნაქალაქარი, რომელიც არქეოლოგიური გათხრების შედეგადაა აღმოჩენილი და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი.

დანართი #2

- ნაკრძალები და დაცული ტერიტორიების სხვა კატეგორიები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), პარკები, სტადიონები

ქალაქ რუსთავის ცენტრში მდებარეობს ბუნებრივი ტყე-პარკი „რუსთავის კულტურისა და დასვენების პარკი“, სადაც პატარა ხელოვნური ტბაა. ამჟამად მიმდინარეობს პარკის რეაბილიტაცია, რომელიც დასრულდება 2013 წელს. ქალაქის ტერიტორიაზე 8 სკვერია. აქედან რამდენიმე რეაბილიტირებულია და რამოდენიმე საჭიროებს განახლებას.

დანართი # 3

- ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

2013 წლის მონაცემებით ქალაქში 3 617 რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია, 784 მარჩენალ დაკარგული ოჯახის წევრი და 15 888 ასაკით პენსიონერი.

2013 წლის მონაცემებით, ქალაქ რუსთავში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანების რიცხვი შეადგენს 30 587 (0–150 000 ქულა) კაცს.

2012 წელს ქალაქის თვითმმართველობის მიერ განხორციელდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ხელშემწყობი მუნიციპალური 19 პროგრამა.(დანართი)

ასევე ახდენდა ა.ა.ი.პ შშმპ ცენტრის დაფინანსებას. ამასთან თვითმმართველობა მონაწილეობს რუსთავის მოხუცებულთა სახლის რეაბილიტაციის პროექტის განხორციელებაში.

ქალაქში არსებოს ა.ა.ი.პ. “საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი”

- პოლიკლინიკები და საავადმყოფოები

რუსთავში ფუნქციონირებს 5 სტაციონარული ფართოპროფილური საავადმყოფო, რამდენიმე ამბულატორიული პოლიკლინიკა, სამშობიარო სახლი. გაიხსნა ახალი ფსიქო-ნევროლოგიური თავმესაფარი. ქალაქში ასევე არის სისხლის გადასხმის ცენტრი. ფუნქციონირებს ონკო-ცენტრის რუსთავის განყოფილება. ამას გარდა ქალაქში არსებობს არაერთი დიაგნოსტიკური ცენტრი, სამედიცინო, სტომოტოლოგიური კლინიკა და კერძო სამედიცინო კაბინეტი და აგრეთვე იხსნება დიალუზის ცენტრი. რუსთავში არსებობს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი, ვენ. დისპანსერი, ტუბ. დისპანსერი

თვითმმართველი ერთეულის ინიციატივით ჩატარებულა არაერთი აქცია გარკვეული სამიზნე ჯგუფებისათვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის მიზნით.

3) „მერების შეთანხმება“ და რუსთავის განვითარების სტრატეგია

ქალაქის განვითარების სტრატეგიის შემუშავებისას და მისი განხორციელება განახლებასთან ერთად გასათვალისწინებელია ასევე ის ფაქტი, რომ თვითმმართველმა ქალაქმა რუსთავმა 2011 წლის 02 მაისს ხელი მოაწერა "მერების შეთანხმების" ხელშეკრულებას, რომლის ფარგლებშიც აიღო ვალდებულება – 2020 წლისათვის შეამციროს ქალაქის სათბურის გაზების გამონაბოლქვები საბიუჯეტო სექტორში არანაკლებ 20%-ით საბაზისო წელთან (2011).

ამ მიზნით, ქალაქის თვითმმართველობამ შემუშავა „ენერგეტიკის მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმა“ ქალაქის განვითარების სტრატეგია სრულ თანხვედრაში უნდა მოდიოდეს აღნიშნულ გეგმასთან.

ქალაქ რუსთავის მომავლის ხედვა, ქალაქის განვითარების სტრატეგიიდან და წინამდებარე გეგმის განხორციელების მოსალოდნელი შედეგებიდან გამომდინარე, გულიხმობს მნიშვნელოვნად გაჯანსაღებულ გარემოს, ენერგოდამზოგავი ცხოვრების წესით და გადაიარაღებული საწარმოებით; ტყე-პარკებით და ეკოლოგიურად ჯანსაღი ინფრასტრუქტურით – გაუმჯობესებული გზებით, სატრანსპორტო სქემით და "მწვანე გზებით". რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეკოლოგიური გაჯანსაღების ტენდენცია გაგრძელდება 2020 წლის შემდეგაც, – მოსახლეობისა და მეწარმეთა ამაღლებული გარემოსდაცვითი ცნობიერებისა და ენერგოეფექტურობის აშკარა ეკონომიკური სარგებლიანობის გაცნობიერების საფუძველზე.

ქალაქის მკვეთრად გამოხატული ურბანული სახე განსაზღვრავს ენერგეტიკული რესურსების მოხმარების მაღალ მაჩვენებელს განათების, გათბობის, ტრანსპორტის, საწარმოო და არასაწარმოო დაწესებულებების უწყვეტი ფუნქციონირების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ქ. რუსთავის ტერიტორიაზე არსებული მსხვილი საწარმოები: მეტალურგიული ქარხანა, ჰაიდელბერგ ცემენტი, რუსთავის აზოტის ქარხანა, ჯეოსთილი. ზოგიერთი მათგანი მთელი ძალით არ ფუნქციონირებს გასული საუკუნის 90-იანი წლების კრიზისისა და სტაგნაციის პერიოდში ხანგრძლივი გაჩერების შემდეგ. მათი უმეტესობა მოითხოვს გადაიარაღებას და რეკონსტრუქციას სრული სიმძლავრის უზრუნველსაყოფად. საწარმოები პრივატიზებულია და არ ექვემდებარება მუნიციპალიტეტის მმართველობას, თუმცა ისინი წარმოადგენენ მნიშვნელოვან სფეროს მოსახლეობის დასაქმებისა და ეკონომიკური განვითარებისა, თავისი თანმდევი მავნე ზემოქმედებით ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობაზე, რომელიც ამჟამად ერთ-ერთი ყველაზე უარესია საქართველოს ქალაქებს შორის.

2004 წლის შემდეგ ქვეყანაში აღებული სწრაფი ეკონომიკური ზრდის პირობებში ქალაქში ვითარდება ინფრასტრუქტურა, უმჯობესდება სოციალური მომსახურება, იზრდება საწარმო-დაწესებულებების, კულტურული, სასწავლო, სპორტული და საზოგადოებრივი დაწესებულებებისა და ობიექტების რაოდენობა და ფუნქციონირების ხარისხი. როგორც მთლიანად ქვეყანაში, სწრაფი ტემპით ვითარდება მშენებლობის სფერო.

ქვეყნის განვითარების ტემპის მოსალოდნელი შენარჩუნების პირობებში, უახლოეს პერიოდში, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაიზრდება ინდუსტრიული სექტორის განვითარება, რაც აისახება ამ სფეროში დასაქმებული მოსახლეობის წილის ზრდასა და ინტენსიურ საქმიანობაში. ამიტომ მოსალოდნელია ინდუსტრიული ქალაქების, მათ შორის, რუსთავის, მნიშვნელოვნების

ზრდა და ინტენსიური განვითარება, რაც, მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის უზრუნველყოფის შემთხვევაში აუცილებლად აისახება სათბურის გაზების ემისიების ზრდაზე და, ზოგადად, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებაზე.

ქალაქის და ზოგადად ქვეყნის განვითარების საერთო ტენდენციების, პოლიტიკურ-ეკონომიკური პირობებისა და რისკების გაანალიზების შედეგად შეირჩა მდგრადი ენერგეტიკული განვითარების გეგმისათვის რელევანტური ის სფეროები, რომლებშიც ყველაზე რეალისტურია სათბურის გაზების შემცირების ღონისძიებების გატარება 2020 წლამდე, იმის გათვალისწინებით, რომ ეს პოლიტიკა გაგრძელდება 2020 წლის შემდგომ პერიოდზეც, და გავრცელდება სხვა სფეროებზეც, შესაბამისი პოლიტიკურ-ეკონომიკური პირობებისა და სტაბილურობის პირობებში. წინამდებარე გეგმის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ასეთი წინაპირობების შექმნაც 2020 წლისათვის.

თვითმმართველობა სრულად აცნობიერებს ყველა დაინტერესებული პირისა და ფენის ჩართულობის მნიშვნელოვნებას ყველა საქმიანობაში, რომელიც ხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე, ეს ჩართულობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს გეგმის განხორციელების მთელ პროცესში, რადგან თვითმმართველობას მიაჩნია, რომ ეს აუცილებელია არა მარტო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების რელევანტურობის თვალსაზრისით, არამედ თვით ამ გეგმის განხორციელების წარმატებულობისა და განგრძობადობის უზრუნველსაყოფადაც.

მიუხედავად იმისა, რომ ენერჯის დაზოგვა, რაც გათვალისწინებულია გეგმით განსაზღვრული საქმიანობებითა და ღონისძიებების განხორციელების შედეგად, ხანგრძლივ პერსპექტივაში მომგებიანია როგორც მოსახლეობის, ისე ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებული საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის, მაინც აუცილებელი გახდა დამატებითი სახსრების მოზიდვა გეგმის ფინანსური უზრუნველყოფისათვის. მერია ვარაუდობს ამ სახსრების კომპენსაციას გეგმის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში. კონკრეტული საქმიანობებისათვის მოგვანებით გაიწერება კონკრეტული ხარჯები.

მუნიციპალიტეტი სრულად აცნობიერებს ყველა დაინტერესებული პირისა და ფენის ჩართულობის მნიშვნელოვნებას ყველა საქმიანობაში, რომელიც ხორციელდება ქალაქის მუნიციპალიტეტის თაოსნობით, და ამიტომ წინამდებარე გეგმის შემუშავების პროცესში აქტიურად იყო ჩართული ქალაქ რუსთავის მოსახლეობა და სხვა დაინტერესებული პირები საწარმო-ორგანიზაციებიდან. ეს ჩართულობა უზრუნველყოფილი იქნება გეგმის განხორციელების მთელ პროცესში, რადგან მუნიციპალიტეტს მიაჩნია, რომ ეს აუცილებელია არა მარტო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების რელევანტურობის თვალსაზრისით, არამედ თვით ამ გეგმის განხორციელების წარმატებულობისა და განგრძობადობის უზრუნველსაყოფადაც.

დ) დაფინანსება

ფინანსურ წყაროებს გეგმით განსაზღვრული საქმიანობების ინვესტირებისათვის წარმოადგენს თვითმმართველი ქალაქი რუსთავი და დონორი ორგანიზაციები.

4) თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მყარი ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხანა.

რუსთავის ახალი, თანამედროვე სტანდარტების მყარი ნარჩენების მუნიციპალური ნაგავსაყრელის მშენებლობა ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი BP-ის და SIDA-ს დაფინანსებით განხორციელდა. ნაგავსაყრელზე ხორციელდება ნარჩენების მართვა და დახარისხება მისი შემცირების მიზნით. რაც აუმჯობესებს ადგილობრივ ეკოლოგიურ მდგომარეობას.

5) ფაქტორული ანალიზი (SWOT)

ქალაქის განვითარების სტრატეგიის სრულყოფილი ჩამოყალიბებისათვის, სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების პროცესში ჩატარდა SWOT ანალიზი.

SWOT ანალიზისთვის გამოყენებული სიტუაციის ანალიზით გამოვლინდა ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებული უპირატესობები და ნაკლოვანებები

• ძლიერი მხარეები	• სუსტი მხარეები
• გეოგრაფიული მდებარეობა	
<ul style="list-style-type: none"> • რუსთავი დედაქალაქიდან დაშორებულია 27კმ-ით (მანძილი ცენტრებს შორის) და საზღვრებს შორის მანძილია 7,6 კმ. • სარკინიგზო მაგისტრალი ქალაქის მარცხენა სანაპიროზე გადის; • თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან დაშორებულია 20 კმ-ით; • მანძილი აზერბაიჯანის სახელმწიფოს საზღვრამდე შეადგენს 30კმ-ს (წითელი ხიდი); • დაშორება სომხეთის საზღვრიდან 45 კმ. • რუსთავზე გადის ცენტრალურისაავტომობილო მაგისტრალი. 	<ul style="list-style-type: none"> • რუსთავი ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებიდან მხოლოდ გარდაბნის მუნიციპალიტეტთანაა პირდაპირ დაკავშირებული, დანარჩენებთან კომუნიკაცია ხორციელდება ქ.თბილისის (ფონიჭალა) გავლით.
• ბუნებრივი რესურსები	
<ul style="list-style-type: none"> • ქალაქში არსებობს აუთვისებელიმიწა, თუმცა ზუსტი მონაცემები არ მოიძიება; • ქალაქს აქვს საკმარისი რაოდენობით ტექნიკური წყლის რესურსი (მდ. მტკვარი); • ქალაქში არის ადგილობრივი მნიშვნელობისე.წ ჭალის ტყე (მხოლოდ რეკრეაციული ფუნქცია); • მოძიებულია ინერტული მასალები. • რუსთავი ხვდება ინტენსიური ქარების ზონაში, რაც შესაძლოა გამოყენებულ იქნას ენერჯის მოსაპოვებლად. 	<ul style="list-style-type: none"> • ქალაქის თვითმმართველობას არა აქვს სრული ინფორმაცია სასმელი წყლის რესურსზე (შეუსწავლელია გრუნტის წყლები); • ქალაქი გაშენებულია ნახევრად უდაბნოზონაში; • რუსთავის ჰაერი ბინძურდება ქალაქის საწარმოო ზოლშიარსებული ქარხნების გამონაბოლქვით. • დაბინძურების დონის შესწავლა არ ხორციელდება სისტემატურად. • ქარების მიმართულება ვერ იცავს ქალაქის ნაწილს ქარხნების გამონაბოლქვით

	<p>დაბინძურებისაგან.</p> <ul style="list-style-type: none"> • ავტოტრანსპორტის რაოდენობის ზრდამ მნიშვნელოვნად იმოქმედა ჰაერის დაბინძურებაზე.
<p>• სპორტი</p>	
<ul style="list-style-type: none"> • ქალაქში ფუნქციონირებს 2 საცურაო აუზი. • დასრულდა ირბ-ს სტანდარტების რაგბის სტადიონის მშენებლობა. • ფუნქციონირებს საფეხბურთო სტადიონი, • ქალაქს გააჩნია საჩოგბურთე კორტების კომპლექსი • იგეგმება ახალი სპორტის სასახლის მშენებლობა. • რუსთავში არსებობს ნიჩბოსნობის ტრადიციები. • ფუნქციონირებს ავტოდრომი. 	<ul style="list-style-type: none"> • ინფრასტრუქტურა უმეტესწილად მოძველებულია და საჭიროებს რეაბილიტაციას-განახლებას;
<p>• ადამიანური და სოციალური კაპიტალი</p>	
<ul style="list-style-type: none"> • რუსთავში სხვადასხვა რელიგიასთან და ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული პრობლემები არ არსებობს; • საწარმოებში დასაქმებულთა დიდი წილი დამამუშავებელ მრეწველობაზე მოდის; • ფუნქციონირებს 2 პროფესიული გადამზადების ცენტრი. • ქ. რუსთავში არსებული ჯანდაცვის ობიექტების რაოდენობა და მომსახურების დონე დამაკმაყოფილებელია; • ქალაქის ბიუჯეტის დაფინანსებით 19 მუნიციპალური სოციალური პროგრამა მუშაობს. • ქ.რუსთავში მოსახლეობის რაოდენობა 2012 წელს დაფიქსირდა - 122.5 ათასი. გეოსტატი) 	<ul style="list-style-type: none"> • გამოკითხვებით ირკვევა, რომ რუსთავში კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტია. თუმცა არ ჩატარებულა შესაბამისი კვლევა, რომელშიც ასახული იქნებოდა საქმიანობის სხვადასხვა სფეროში არსებული საკადრო დეფიციტი ან სიჭარბე. ასეთი კვლევა შემდგომში ხელს შეუწყობდა დასაქმების მაჩვენებლის გაზრდას; • დაბინძურებული ჰაერის ზემოქმედება ადამიანის ჯამრთელობაზე თუ რა გავლენას ახდენს, შესწავლილი არ არის • 2013 წლის იანვრის მონაცემებით ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულია 0-150 000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი 30587 პირი (11361 ოჯახი) <ul style="list-style-type: none"> • შრომისუნარიანი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი სხვა ქვეყნებში სამუშაოდ არის წასული; • რუსთავის საწარმოებში, ძირითადად დასაქმებული არიან 40-60 წლის ასაკის მქონე სპეციალისტები <ul style="list-style-type: none"> • არა საკმარისი რაოდენობით გადამზადების პროგრამები, განსაკუთრებით, ბიზნეს უნარ-ჩვევებში; • არ ფუნქციონირებს მეწარმეთა ასოციაციებიდან საკონსულტაციო ცენტრები; • ქალაქს ჰყავს უკანონოდ და თვითნებურად

	<p>შესახლებული მოქალაქეები თვითმმართველობის საკუთრებაში არსებულ ფართებში</p> <ul style="list-style-type: none"> ქალაქს ჰყავს განსაკუთრებული საჭიროების მქონე და მზრუნველობამოკლებული ბავშვები; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები გადატვირთულია; არსებული ბაგა-ბაღების შენობებს ესაჭიროება რეაბილიტაცია და ტექნიკური აღჭურვა (ინვენტარი, სათამაშოები, ლიტერატურა) გაჩაღდა საჭიროება ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობის. სკოლამდელი აღზრდის პედაგოგებს ესაჭიროებათ გადამზადება.
--	---

• კულტურა და ისტორია

<ul style="list-style-type: none"> ქალაქს აქვს ბუნებრივი ტყე-პარკი – „კულტურისა და დასვენების პარკი“ ხელოვნური ტიპით (სარეაბილიტაციოდ მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები); რუსთავში არის ისტორიის მუზეუმი; ისტორიული ძეგლი – რუსთავის ციხე, IV საუკუნე; კულტურულ-მემკვიდრეობად აღიარებული არქეოლოგიური გათხრების ადგილები; რუსთავის მუნიციპალური დრამატული თეატრი 40 წლისაა; ქალაქში 40 წელია არსებობს ხალხური ცეკვის ანსამბლი. ქალაქს აქვს ფოლკლორის ტრადიციები და სკოლა 	<ul style="list-style-type: none"> სუსტია გართობისა და დასვენების ინდუსტრია; დაბალია გამწვანების ხარისხი. არ ფუნქციონირებს კინოთეატრი, ლამის ბარები, კლუბები, საგამოფენო დარბაზები და ა.შ.
---	---

• ტექნიკური ინფრასტრუქტურა

<ul style="list-style-type: none"> • ქალაქის სატელეფონო კავშირგაბმულობის სისტემა კარგადაა განვითარებული; • მოსახლეობას სასმელი წყალი გრაფიკის გარეშე 24 საათიან რეჟიმში მიეწოდება; • ქ. რუსთავი უზრუნველყოფილია საკანალიზაციო სისტემით (არასრულად) და გაზომომარაგებით; • ქალაქში არსებული 2 ხიდიდან ორივე ფუნქციონირებს; • ქალაქში მუნიციპალური ტრანსპორტიდა კერძო სექტორის სამარშრუტო ტაქსები უზრუნველყოფენ მგზავრების გადაყვანას შიდასაქალაქო, საგარეუბნო და საქალაქთაშორისო მარშრუტებზე; • ცენტრალური და ადგილობრივი გზები და ეზოები განათებულია; • მიმდინარეობს სახელმწიფო ქონების გადმოცემა, რაც თვითმმართველობისთვის დამატებითი შემოსავლების წყაროს ქმნის. • ქალაქს აქვს ახალი, უსაფრთხო ნაგავსაყრელი. რუსთავის ახალი, თანამედროვე სტანდარტების მყარი ნარჩენების მუნიციპალური ნაგავსაყრელის მშენებლობა ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი BP-ის და SIDA-ს დაფინანსებით განხორციელდა. ნაგავსაყრელზე ხორციელდება ნარჩენების მართვა და დახარისხება მისი შემცირების მიზნით. რაც აუმჯობესებს ადგილობრივ ეკოლოგიურ მდგომარეობას. • დასრულების სტადიაშია პირველადი დახმარების თანამედროვე ცენტრის მშენებლობა. 	<ul style="list-style-type: none"> • რუსთავის მუნიციპალური გზების აღდგენას საჭიროებს; • ქალაქში 20 წელიწადია მწყობრიდანაა გამოსული და არ ფუნქციონირებს საირიგაციო სისტემა; • რუსთავის ცენტრალური ხიდი, რომელიც ქალაქის ორ ნაწილს აკავშირებს, ორჯერ შეკეთდა, თუმცა კვლავაც საჭიროებს რეაბილიტაციას; • სუსტია ქალაქის გამწვანება • წყალამრიდი სისტემის გაუმართაობა გარკვეულ უბნებში
<p>• ტურიზმი</p>	
<ul style="list-style-type: none"> • ტურიზმი განვითარებულია დაბალ დონეზე. • მიზიდვის ძირითადი წერტილებია: ციხე და კულტურისა და დასვენების პარკი; ისტორიული მუზეუმი ავტოდრომი; 	<ul style="list-style-type: none"> • სტუმრების უდიდესი წილი მხოლოდ ავტობაზრობას სტუმრობს (მოკლევადიანი ვიზიტი); • სასტუმროების სისტემა განუვითარებელია; არ არის უხვად ტურისტული ობიექტები.
<p>• ეკონომიკა</p>	
<ul style="list-style-type: none"> • მრეწველობის სფეროში ფუნქციონირებს რამდენიმე დიდი საწარმო (დანართი). • მრეწველობის სფეროში აღსანიშნავია ამონიუმის გვარჯილის, ამონიუმის სულფატის და ცემენტის პროდუქციის მატება; • ქალაქის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების ყველა სახეობაში შეინიშნები ზრდის ტენდენციები; 	<ul style="list-style-type: none"> • ქალაქში არსებულ სასტუმროებში შეინიშნება დაბალი ხარისხის მომსახურეობა. • მძიმე სოციალური ფონი ნეგატიურად მოქმედებს მეწარმეობის განვითარებაზე; • ქალაქს აქვს მხოლოდ

<p>დანართი #5</p> <ul style="list-style-type: none"> • ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გააქტიურდა ვაჭრობისა და მომსახურების სფეროები; • რუსთავში ბოლო წლებში გაიხსნა საქართველოს ძლიერი ბრენდების ფილიალები, ინვესტიცია განახორციელეს ევროპის უმსხვილესმა კონცერნმა „ჰაიდელბერგმა“, ბრიტანულ-ინდურმა და სხვა უცხოურმა ფირმებმა • ძლიერია საბანკო სფერო ; • ქ. თბილისთან შედარებით იაფია მომსახურებისა და პროდუქციის ღირებულება, აღსანიშნავია რუსთავში საოფისე და კომერციული ფართების სიიაფე 	<p>მძიმე მრეწველობაში და მშენებლობაში დასაქმების ტრადიცია;</p> <p>აღინიშნება კვალიფიციური კადრების გადინება რუსთავიდან და ქ. თბილისში დასაქმების მიზნით</p>
<p>• ადგილობრივი თვითმმართველობა</p>	
<ul style="list-style-type: none"> • თვითმმართველობასთან ჩამოყალიბებულია მაღალ მოტივირებული, ქალაქის გენერალურ გეგმაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი, რომელიც წარმოდგენილია ადგილობრივი ხელისუფლების, მეწარმეთა და საზოგადოებრივი სექტორების წარმომადგენლებით; • საკრებულო და მერია მუშაობს როგორც ერთიანი გუნდი; • თვითმმართველობა მუშაობს მოსახლეობასთან დიალოგის რეჟიმში; • რუსთავი დამძობილებული ქალაქების მსოფლიო ფედერაციის წევრია და დამეგობრებულია რამდენიმე ევროპულ ქალაქთან. 	<ul style="list-style-type: none"> • არ არსებობს ქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა; • თვითმმართველობის მიერ არ იმართება ღონისძიებები, რომელიც ხელს შეუწყობს კავშირების დამყარებას და რეალიზაციის გაუმჯობესებას(ბიზნესფორუმები, გამოფენები და ა. შ); • არ არის განვითარებული კავშირურთიერთობები სხვა ქვეყნების სამრეწველო ქალაქებთან, • თვითმმართველობას არ აქვს სრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
<p>• შესაძლებლობები</p>	<p>• საფრთხეები</p>
<ul style="list-style-type: none"> • ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობა ერთერთი ხელიშემწყობი ფაქტორია ლოჯისტიკური ცენტრების განვითარების. • რუსთავში დაგეგმილია ახალი, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა • რუსთავის ტექნიკური წყალმომარაგების აღდგენა შეამცირებს დანახარჯებს სასმელწყალზე და გაზრდის სასმელი წყლის მიწოდები სხანგრძლივობას; • მიმდინარეობს რუსთავის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია, რაც ქალაქის წყალმომარაგების 24 საათიან რეჟიმზე გადასვლას და მეწარმეთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას გამოიწვევს(განსაკუთრებით, სასტუმროების და კვებითი 	<ul style="list-style-type: none"> • არასტაბილური პოლიტიკური გარემო; • შიდა ბაზრის დაუცველობა; • შესაძლოა, ყარსი-ახალქალაქის რკინიგზამ გვერდის ავლამ გავლენა არ იქონიოს რუსთავზე

<p>ობიექტების);</p> <ul style="list-style-type: none"> • რუსთავს აქვს შესაძლებლობა, გაზარდოს პროფესიული სწავლების მასშტაბები და ამსფეროში რეგიონალ ცენტრად იქცეს; • შესაძლებელია დამეგობრებულ ქალაქებთან ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება; • რუსთავს აქვს თავისუფალი ტერიტორიები, • რუსთავის ტერიტორიაზე შესაძლებელია საერთაშორისო საწყობების მოწყობა, რადგან ის ძალიან ახლოს არის აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვართან, თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან, ცენტრალურ სარკინიგზო მაგისტრალსა და ქვეყნის დედაქალაქთან; • გაეროს განვითარების პროგრამის ქვემო ქართლის პროექტის ღონისძიებები აძლიერებს დგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესაძლებლობებს, რაც ქალაქის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია; • შესაძლო ლოჯისტიკური ცენტრის გახსნა ქ. რუსთავის აუთვისებელ მიწებზე ეკონომიკური საქმიანობების გააქტიურების დამატებით პერსპექტივას უქმნის ქალაქს; 	
---	--

6) მუნიციპალიტეტის/ქალაქის ხედვა 2017 წლისთვის

ადგილობრივი განვითარების ხედვაში იგულისხმება მოქალაქეების წარმოდგენა თავიანთი ქალაქის მომავალზე. ხედვა გრძელვადიანი ამბიციას, რომელიც ადგილობრივი საზოგადოების ძალისხმევას წარმართავს. სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, ქალაქ რუსთავის განვითარების ხედვა ასე ჩამოყალიბდა:

რუსთავში ძლიერი, დინამიური, მეწარმეობის განვითარებაზე ორიენტირებული თვითმმართველობაა. ქალაქში მიმზიდველი გარემოა მეწარმეობის ფართო სპექტრის განვითარებისა და დასაქმების შესაძლებლობებით. შექმნილია რეგიონული დონის პროფესიული გადამზადებისა და დასაქმების ცენტრები. ქალაქ რუსთავი მწვანე ქალაქია, დასვენებისა და გართობის ინდუსტრიის ფართო სპექტრით. ქალაქში საუკეთესო პირობაა შექმნილი ადგილობრივი მოსახლეობის სწავლებისა და დასაქმებისათვის.

7. გამოწვევები და და განვითარების პრიორიტეტები

SWOT ანალიზით მიღებული დასკვნებიდან და ადგილობრივი განვითარების ხედვიდან გამომდინარე გამოვლინდა მთელი რიგი გამოწვევები, რომლებიც ქალაქის განვითარების პროგრამამ უნდა დაძლიოს მომდევნო 4 წლის მანძილზე.

ქალაქის ბუნებრივი რესურსების შესწავლა მათი ექსპლუატაციის პროცესის ოპტიმიზაციის მიზნით

1. მოხდეს რუსთავში არსებული ტყის მასივის შესწავლა, მისი ფართობისა და საზღვრების ზუსტი დადგენა, იქ არსებული მწვანე ნარგავების აღნუსხვა; ქალაქში არსებული მწვანე მასივების რეაბილიტაცია, შეძლებისდაგვარად მათი გაზრდა, ქალაქის სკვერების კეთლმოწყობის პროცესის გაგრძელება, მათი პერმანენტული რეაბილიტაცია;
2. მეცნიერულ დონეზე მოხდეს იალღუჯის მთაზე ქარის სიმძლავრის კვლევა და ამ კვლევაზე დაყრდნობით დასკვნის მომზადება, თუ რამდენადაა შესაძლებელი ქარის ენერჯის გამოყენება ქალაქის ენერგომომარაგების სისტემის გაუმჯობესებისათვის;
3. შესწავლილი იქნას ქალაქის გრუნტის წყლები, მოხდეს მათი მოცულობისა და ხარისხის დადგენა, შემდგომში ამ რესურსის ტექნიკური წყლის გამოყენების მიზნით; ქალაქის წყალამრიდი სისტემა საჭიროებს რეაბილიტაციას, რადგანაც ისინი 20 წელია არ გაწმენდილა, შესაბამისად ზაფხულის პერიოდში, როდესაც მოდის ნალექების დიდი რაოდენობა ხდება ქალაქის ქუჩების დატბორვა, რაც ქმნის მთელ რიგ პრობლემებსა და საფრთხეებს მოქალაქეებისათვის.
4. მოხდეს ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ინერტული მასალის მოცულობისა და ხარისხის აღწერა. გარემოს დაცვის სამინისტროსთან ერთად მოხდეს ამ რესურსების გონივრული გამოყენების გეგმის შემუშავება, რათა ქალაქის ეკო სისტემას არ მიადგეს ზიანი.

სპორტის, კულტურის, ახალგაზრდობის და ტურიზმის რესურსების განვითარების ხელშეწყობა

1. ქალაქში არსებული თანამედრო სპორტული ობიექტების (საცურაო აუზები, რაგბის სტადიონი) პოპულარიზაცია როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონის (კავკასია) მასშტაბით;
2. ქალაქში არსებული მოძველებული სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;
3. სპორტულ სექციებში დაკავებული ახალგაზრდების ხელშეწყობა პოპულარიზაცია (საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა)
4. თანამშრომლობა სხვადასხვა ფონდებთან და ინვესტორებთან, რათა ქალაქში ახალგაზრდებისთვის შეიქმნას თანამედროვე სახის შემეცნებით გასართობი ინფრასტრუქტურა.
5. რუსთავში მცხოვრები ხელოვნების მოღვაწეების საქმიანობის პოპულარიზაცია ქვეყნის მასშტაბით
6. ისტორიული ტურიზმის განვითარებისათვის საჭიროა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან ერთად ქალაქის ისტორიული ობიექტების პოპულარიზაცია, ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკში, სადაც განლაგებულია არემის ციხის ნაშთები, შესაძლოა სხვადასხვა ისტორიული ღონისძიებების ორგანიზება, რაც მოიზიდავს ტურისტებს ქვეყნიდან და უცხოეთიდანაც;
7. ტურიზმის განვითარების დამატებით გზას წარმოადგენს რუსთავის ავტოდრომის გარშემო ძლიერი საინფორმაციო საპოპულარიზაციო კამპანიის გაშლა.

8. ქვეყნის კანონმდებლობიდან და ადგილობრივი რეგულაციებიდან გამომდინარე, ხელი უნდა შეეწყოს სასტუმრო ინფრასტრუქტურის შექმნას, უნდა მოხდეს მსგავსო ობიექტების პოპულარიზაცია სხვადასხვა თვალსაჩინო მასალების გამოყენებით
9. არსებული ახალგაზრდული ცენტრების განვითარება–გამლიერება და ახალი ცენტრების შექმნა–ჩამოყალიბება.

სოციალურ–ეკონომიკური კაპიტალის განვითარება

1. რუსთავში ე.წ. თანამედროვე შრომის ბირჟის ამოქმედება, სადაც იქნება მონაცემები ქალაქის დაუსაქმებელი მაცხოვრებელთა განათკების, გამოცდილების, კვალიფიკაციის შესახებ. აქვე თავს მოიყრის მონაცემები სხვადასხვა დამსაქმებლების მიერ გამოცხადებული ვაკანსიების შესახებ. აღნიშნული ბაზა უნდა იყოს მუდმივად განახლებადი.
2. ქალაქში უნდა გაიზარდოს პროფესიული გადამზადების ცენტრების რაოდენობა, სადაც მოქალაქეებს საშუალება ექნებათ მიიღონ ან აიმაღლონ კვალიფიკაცია.
3. შეიქმნას საკონსულტაციო ორგანო, რომელიც საშუალებას მისცემს სხვადასხვა დამწყებ მეწარმეებს მიიღონ რჩევები თავიანთი ბიზნესის განვითარების, ინვესტიციებს, პარტნიორების, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით.
4. მოსახლეობისა და გარემოს სახანძრო უსაფრთხოების დონის ამაღლება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.
5. ქალაქში არსებული სკოლამდელი დაწესებულებების განვითარებისა მიზნით მოხდეს მათი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკით, სახელმძღვანელოებითა და თვალსაჩინო მასალებით. ამ მიზნით აუცილებელია გაფართოვდეს თანამშრომლობა სხვადასხვა საერთაშორისო ფონდებთან.
6. საჭიროა ადგილობრივი თვითმმართველობის ინტენსიური ურთიერთობა როგორც ქვეყნის შიგნით მოქმედ, ასევე უცხოელ ინვესტორებთან.
7. თანამედროვე მსოფლიოს ტენდენციების მიხედვით, ქალაქის ეკონომიკა სამომავლოდ უნდა ეფუძნებოდეს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, ინოვაციებს.
8. უნდა მოხდეს უცხოური გამოცდილებების გაზიარება, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების იმ გზებისა და გამოცდილებების გაზიარება, რაც მათ გაიარეს სოციალისტური ბანაკის რღვევის შემდეგ.
9. ქალაქში უნდა შეიქმნას ტექნიკური ინოვაციების ცენტრი, რომელიც საშუალებას მისცემს განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებს მოახდინონ მათი იდეების რეალიზება;
10. მიუხედავად იმისა, რომ რუსთავში აგრო სექტორი არაა განვითარებული მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია მოზიდული იქნეს ინვესტიციები რათა შეიქმნას ძლიერი სასასწყოზე და სამცვივრე მეურნეობები, რომელიც მოემსახურება ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონის ფერმერებს. ქალაქს აქვს ამისი რეალური პოტენციალი;
11. ქალაქის თვითმმართველობის ეკონომიკური განვითარების დეპარტამენტის ბაზაზე უნდა შეიქმნას ძლიერი საკონსულტაციო ორგანო, რომელიც დაეხმარება რუსთავში მოქმედ

მცირე და საშუალო ბიზნესმენებს ბიზნესის დაწყებისა და წარმოებისათვის საჭირო დოკუმენტაციის მოსამზადებლად.

12. ადგილობრივი კანონმდებლობიდან გამომდინარე, შესაძლოა შეიქმნას შეღავათების პაკეტი ბიზნესმენტა გარკვეული ჯგუფებისათვის.

13. შეიქმნას სპეციალური ფონდი, რომლის საშუალებითაც მოხდება ქალაქში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ადამიანების ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება.

ინფრასტრუქტურა

1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და მოვლა–შენახვა

2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

3. საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა

- საცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაცია
- მრავალსართულიან საცხოვრებელ შენობებში ლიფტების რეაბილიტაცია
- საცხოვრებელი კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია
- ააიპ "რუსთავის კორპუსი" – ამხანაგობების ხელშეწყობა

4. გარე განათების რეაბილიტაცია.

ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება

1. ქალაქის მიწათსარგებლობის გეგმის შემუშავება / ამოქმედება;

2. სხვა ქვეყნების ქალაქებთან მჭიდრო ურთიერთობა გამოცდილების გაზიარებისა და ინოვაციების განერგვის მიზნით;

3. ბიზნეს ფორუმების მოწყობა;

4. ინტენსიური თანამშრომლობა სამოქალაქო სექტორთან და მისი აქტიური ჩართვა ქალაქში მიმდინარე პროცესებში

5. მიმდინარე პროცესებში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის ინდექსის ამაღლება.

6. სამოქალაქო მონიტორინგის ხელშეწყობა;

7. ადგ. თვითმმართველობის მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;

8. ადგ. თვითმმართველობაში კადრების ოპტიმიზაცია;

9. ადგ. თვითმმართველობაში დასაქმებული კადრების უნარების ამაღლება (ტრეინინგები, სემინარები, კონფერენციები);

10. ინოვაციების მუდმივი ძიება, მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;

11. ცენტრალური მედია საშუალებების დახმარებით ქალაქში მიმდინარე პროცესების ინტენსიური გაშუქება;

12. ინტენსიური თანამშრომლობა ეკონომიკის სამინისტროსთან, ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ქონების დროულად გადმოსაცემად, რაც ქალაქს მოუტანს დამატებით შემოსავალს;

8. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის პროგრამების, მათი აღწერის,

მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

მოსახლეობის სტიქიური მოვლენების, უბედური შემთხვევების და სხვა საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში დახმარების გასაწევად სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს სამაშველო სამსახურის ოპერატიული მოქმედება, მათი მზადყოფნა დროული და სათანადო დახმარების აღმოსაჩენად, აუცილებელია პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული დონის ამაღლება.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ქ.რუსთავში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

1.1 საგანგებო სიტუაციების მართვა

უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა არსებული ტექნიკური ბაზის განახლება/შეკეთება და საჭირო სამაშველო და სახანძრო აღჭურვილობის შეძენა, მეხანძრე-მაშველთათვის სოციალური პირობების გაუმჯობესება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილება, მათი შედეგების ლიკვიდაცია. მოსახლეობისა და გარემოს სახანძრო უსაფრთხოების დონის ამაღლება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სახანძრო-სამაშველო სამუშაოების დროული და ხარისხიანი წარმოება, მოსახლეობის და გარემოს უსაფრთხოების გაუმჯობესება.

1.2 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ქ.რუსთავში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- არსებული რესურსებისა და თავდაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესებისათვის ქალაქის მცხოვრებთა სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებისა და გაწვევის კოორდინაცია;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საქართველოს სამხედრო ძალების ჯანმრთელი ახალგაზრდა თაობით უზრუნველყოფა.

(დანართი # 7)

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია)

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. რუსთავში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება, ასევე ახალი და შიდაკვარტალური მისასვლელი გზების რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება და ქალაქის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საგზაო შემთხვევების შემცირებული რაოდენობა;
- ქუჩების განტვირთვა ჭარბი სატრანსპორტო ნაკადისაგან.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება ქ. რუსთავის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა.

2.2.1 საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია დაზიანებული ლიფტების რეაბილიტაცია და საჭიროების შემთხვევაში ახლის მონტაჟი, კორპუსების ეზოების კეთილმოწყობა. ასევე

დაგეგმილია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება, სამოქალაქო პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და მათ განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ჩართულობის უზრუნველყოფა. ამხანაგობები მოსახლეობის ჩართულობის პრინციპით განხორციელებენ მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობების სახურავებისა და სხვა კომუნალური პირობების მოწესრიგებას.

2.2.2 გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქალაქის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა კვარტალურ ეზოებში ახალი სანათი წერტილების მოწყობა.

2.2.3 დასუფთავება ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე საცხოვრებელი კორპუსების შიდა ბუნკერების და გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება. დაფინანსდება ახალი ნაგავსაყრელისადმინისტრაციული ხარჯები რათა იფუნქციონიროს სრული დატვირთვით, რაც გააუმჯობესებს ქალაქის სანიტარულ და ეკოლოგიურ მდგომარეობას.

2.2.4 ქალაქის საკუთრებაში არსებული აქტივების შენახვის ხარჯები ქალაქის საკუთრებაში მრავლად არის შენობა-ნაგებობები და სვადასხვა ობიექტები, რომლებიც ამ ეტაპზე არ გამოიყენება ქალაქის საჭიროებებისათვის და შესაძლოა განხორციელდეს მათი ეტაპობრივი პრივატიზაცია. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები მათი არსებული მდგომარეობის შენარჩუნებისა და უცხო პირთა ხელყოფისაგან დაცვის მიზნით.

2.2.5 მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა რუსთვის ტერიტორიაზე მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;
- გამართული კომუნალური ინფრასტრუქტურა;

- განათებული ქალაქი;
- გაუმჯობესებული სანიტარული პირობები;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საცხოვრებელი კორპუსებისა და ეზოების მდგომარეობა;
- ქუჩების განათების 100%-იანი მაჩვენებელი;
- საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან მაქსიმალურად გათავისუფლებული ქალაქი.

2.3 ქალაქის კეთილმოწყობის ღონისძიებები პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შადრევნების ექსპლოატაცია, გამწვანებისა და გადაბეღვის ღონისძიებები, ქალაქის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია, მერიის შენობის წინ მდებარე მოედანზე დეკორატიული სკამების მოწყობა და სხვა ღონისძიებები.

2.3.1 შადრევნების მოვლა-პატრონობა ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება არსებული შადრევნების ექსპლოატაცია და მოხმარებული წყლის საფასურის გადახდა.

2.3.2 გამწვანებისა და გადაბეღვის ხარჯები

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული გამწვანების მოვლა-პატრონობა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება.

2.3.3 არასაცხოვრებელი შენობების რემონტი

ქალაქის საკუთრებაში საკმაოდ ბევრი არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობებია, რომლებიც ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული დატვირთვის მატარებელია. შენობების ექსპლუატაციის პერიოდის გათვალისწინებით, ხშირად დგება დღის წესრიგში მათზე მიმდინარე სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოების შესრულება. ქვეპროგრამის მიზანი ამ შემთხვევაში შენობების ექსპლუატაციისათვის ვარგისიანობის შენარჩუნებაა, რა დროსაც არსებული სარემონტო სამუშაოებით ხდება უფრო მეტი დაზიანებებისა და შესაბამისად მეტი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის თავიდან აცილება.

2.3.4 მერიის შენობის წინ მდებარე მოედნის რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მოედანზე ახალი სკამების მონტაჟი ან/და დეკორატიული საყვავილეების დადგმა.

2.3.5 სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის ხარჯები ქალაქში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესების გათვალისწინებით შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. ხოლო საჭიროების შემთვევებში აუცილებელია შესაბამისი გეოლოგიური კვლევების წარმოებაც. ასევე აუცილებელია სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ქალაქის იერსახის გალამაზება და მოსახლეობისათვის სასიამოვნო გარემოს შექმნა.
- მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოვლილი გამწანება სკვერებსა თუ სხვადასხვა რეკრეაციულ ზონებში.
- ქალაქის კეთილმოწყობის ღონისძიებებით კმაყოფილი მოსახლეობა.

2.4 მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება

2013 წელშიც კვლავ აქტუალური რჩება შიდასაქალაქო ტრანსპორტის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. ავტობუსების მძღოლების ხელფასების მატება, საწვავისა და მარაგ ნაწილების სულ უფრო მზარდი ფასები ასახვას პოულობს მგზავრობის საფასურზე. პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა შიდასაქალაქო ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობისათვის არსებული ტარიფის შენარჩუნება შესაბამისი ორგანიზაციის დოტაციის გზით, რასაც მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვა გააჩნია.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ქალაქის მუნიციპალური ავტოტრანსპორტზე არსებული ბილეთის ფასის შენარჩუნება.
- მომხმარებელთა ეკონომიკური ინტერესების დაცვა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ქალაქში მაცხოვრებელთა დადებითი განწყობა იაფი ტრანსპორტითმგზავრობაზე.

2.5 ავტობუსების შეძენა და სალარო აპარატების მონტაჟი მოქალაქეთა კომფორტულად გადაადგილების მიზნით დაგეგმილია ქალაქში არსებული ავტოპარკის განახლება და რამოდენიმე ავტობუსის შეძენა. ასევე ავტოტრანსპორტში დამონტაჟდება გადახდის დამაფიქსირებელი აპარატები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ძველი და ამორტიზებული ავტობუსების ახლით შეცვლა.
- ავტობუსითმოსარგებლეთაგანსაფასურის გადახდის გამარტივებული სისტემა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- M2 კატეგორიის ახალი ავტობუსებით მგზავრობის მსურველათა ნაკადის ზრდა;
- ავტობუსითმოსარგებლეთაგანმაქსიმალურადამოდებულიმგზავრობისმინიმალურის აფასური.

(დანართი#8)

3. განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ინკლუზიური სწავლების დაფინანსება.

3.1 ააიპ „ბაგა-ბაღების გაერთიანება

3.2 ქალაქ რუსთავში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 21 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 5200 მეტი ბავშვი. საბავშვო ბაღებში ერთი ბავშვის სწავლის ღირებულება შეადგენს 30 ლარს და აღნიშნული თანხით ძირითადად ფინანსდება ბავშვების კვების ხარჯები. პროგრამის ფარგლებში ქალაქის ბიუჯეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის აღმზრდელთა ხელფასებს (2013 წელს მოხდება 30-ით ზრდა) და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

3.3 ააიპ "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი"

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება რუსთავში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი, სადაც რეაბილიტაციის კურსს გადის 140 ბენეფიციარი; ასევე 2013 წელს მოხდება მომუშავეთა ხელფასების 30-ით გაზრდა.

3.4 ბაგა ბაღების რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია რამოდენიმე ბაგა-ბაღში სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- საბავშვო ბაგა-ბალებში გაუმჯობესებული სააღმზრდელო პროცესი;
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მენეჯმენტის სრულყოფა;
- საბავშვო ბაგა-ბალებში დასაქმებულთა მოტივაზიის გაზრდა;
- სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა საბავშვო ბაგა-ბალების მართვის პროცესში;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდთა საზოგადოებაში ინტეგრაცია.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საბავშვო ბაგა-ბალებში მიმდინარე რეფორმის მიმართ დადებითად განწყობილ მშობელთა რაოდენობის ზრდა.

3.5 ინკლუზიური სწავლების დაფინანსება

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება რუსთავის საჯარო სკოლებში მოსწავლე უნარშეზღუდული ბავშვების განათლების მიღება პედაგოგის ბინაზე მომსახურებით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- უნარშეზღუდული ბავშვებისათვის განათლების მიცემა და მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია სრულყოფილია და წევრებად.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ინკლუზიური სწავლების პროგრამაში ჩართული ოჯახების რაოდენობა.

დანართი #9

4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, თვითმმართველობა განაგრძობს კულტურული დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ

სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

4.1.1 სპორტული სკოლების გაერთიანება

ქვეპროგრამა მოიცავს ააიპ „რუსთავის სპორტული სკოლების გაერთიანების“ დაფინანსებას, რომელიც აერთიანებს 4 სპორტულ სკოლას და 1300–მდე სპორტსმენს; გაერთიანება მოიცავს სპორტის 24 სახეობას და უზრუნველყოფს ამ სახეობების განვითარებას, მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმას და მათთვის საწვრთნელი პირობების შექმნას.

4.1.2 რაგბის კლუბის „რუსთავის ხარები“ ქვეპროგრამა მოიცავს ააიპ „რაგბის კლუბის რუსთავის ხარები“-ს ფინანსური მხარდაჭერა.

4.1.3 საკალათბურთო კლუბი „რუსთავი 1991“

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება შპს „საკალათბურთო კლუბი რუსთავი 1991“-ის ფინანსური მხარდაჭერა.

4.1.4 სპორტის სასახლის მშენებლობა ქვეპროგრამის ფარგლებში ქალაქს შეემატება საუკეთესო სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი, სადაც მომზადებას გაივლიან მომავალი თაობები სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობის მიზნით და ქალაქს ექნება უახლესი, თანამედროვე სტანდარტებზე გათვლილი სპორტის სასახლე.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ქვეყნის ნაკრები გუნდები შეივსება ახალგაზრდა პერსპექტიული რუსთაველი სპორტსმენებით;
- სპორტის სხვადასხვა სახეობაში ადგილობრივი და საქალაქთაშორისო რანგის შეჯიბრებებში სპორტსმენთა წარმატებული გამოსვლა;
- სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ბავშვები და მოზარდები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რუსთავში მსოფლიო, ევროპის ჩემპიონებისა და პრიზიორების გაზრდილი რაოდენობა;
- სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში ჩაბმულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობა.

4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა

კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

4.2.1 კულტურული ღონისძიებები ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება რუსთაველაქობისა და შობა/ახალი წლის ღონისძიებების მოწყობა.

4.2.2 სახელოვნებო სკოლები

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება 3 მუსიკალური სკოლა, სადაც სწავლობს 300-მდე მოსწავლე; 1 სამხატვრო სკოლა. სადაც სწავლობს 50-მდე მოსწავლე და 1 ხელოვნების სკოლა სადაც სწავლობს 100 მოსწავლე.

4.2.3 კულტურის სახლები

ქვეპროგრამა ითვალისწინებს:

- ააიპ „რუსთავის თეატრის“ მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსებას, როგორცაა: მხატვრული აღზრდის პროპაგანდა, ყველა თაობის ნიჭიერ შემოქმედთა ხელშეწყობა, ეროვნული თეატრალური ხელოვნების განვითარება, პოპულარიზაცია, ტრადიციების აღორძინება; გაამძაფროს საზოგადოების ინტერესი თეატრალური ხელოვნებისადმი და მოიზიდოს ყველა თაობის მაცურებელი.
- ააიპ „კულტურის ცენტრის“ მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსებას, როგორცაა: ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა, ლიტერატურული და თოჯინური თეატრების აღორძინება, ხალხური რეწვის მივიწყებული დარგების აღორძინება და პოპულარიზაცია, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობა, სამუსიკო და ქორეოგრაფიული ნიმუშების შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნა.

4.2.4 მუზეუმი

ქვეპროგრამა მოიცავს ააიპ „რუსთავის ისტორიული მუზეუმი“-ს დაფინანსებას, რომელიც სისტემატიურად მოიპოვებს, იცავს, იკვლევს, პოპულარიზაციას უწევს და გამოფენს ადამიანთა და მათი საარსებო გარემოს ამსახველ ნივთიერ მასალას;

შეისწავლის მათ, განათლების, საზოგადოებისათვის ცოდნის გაცემის და ესთეტიური სიამოვნების მინიჭების მიზნით; მუზეუმი აღვივებს საზოგადოების თვითშეგნებას პარტიოტული სულისკვეთებით.

4.2.5 ბიბლიოთეკები ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება“, რომელიც აერთიანებს 3 ბიბლიოთეკას, სადაც ხდება ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის ხელშეწყობა, წიგნადი ფონდების შევსება დაკომპლექტება და სრული აღრიცხვა, ყველა ასაკის მკითხველის მომსახურება საჭირო ინფორმაციით და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით.

4.2.6 კულტურისა და დასვენების პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები ქვეპროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ქალაქში ერთ–ერთი დიდი რეკრეაციული ზონის რეაბილიტაცია, რაც შექმნის საუკეთესო დასასვენებელ ადგილს მოსახლეობის ნებისმიერი ასაკისათვის.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- საზოგადოების ფართო ნაწილის მონაწილეობა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში;
- ნიჭიერი შემოქმედების წარმოჩენა, შემოქმედებითი პროცესის ინტენსივობა;
- ქალაქში დასასვენებელი და გასართობი ადგილი.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- განხორციელებული ღონისძიებებისადმი მასმედიის, საზოგადოების ინტერესისა და ღონისძიებებზე დამსწრეთამაჩვენებლები;
- ქართული კულტურის შედეგების წარმოჩინება და პოპულარიზაცია;
- ფესტივალების, კონკურსების და საიუბილეო ღონისძიებების რაოდენობა;
- კულტურისა და დასვენების პარკში დამსვენებელთა რაოდენობა.

4.3 ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ააიპ „რუსთავის ახალგაზრდული ცენტრი“, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა ღონისძიებების გამართვას, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას ქალაქის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ქალაქის გავითარებაში ახალგაზრდობის მეტი ჩართულობა და სამომავლო პერსპექტივების ერთობლივი შემუშავება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სამოქალაქო ცხოვრებაში ჩართული ახალგაზრდობის რაოდენობა;
- მომავალი თაობის ინიციატივებით განხორციელებული წარმატებული პროექტების რაოდენობა.

4.4 მეუფის რეზიდენციისა და ტაძრების დახმარება პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თვითმმართველობის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

დანართი # 10

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ქალაქის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

5.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
- ქალაქის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

- სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;
- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;
- ქალაქში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით რუსთავის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- დაავადებათა გავრცელების შემცირება, მართვადი ინფექციების გავრცელების შეზღუდვა, ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პროფილაქტიკური აცრების შესახებ მოსახლეობის დროული ინფორმირება, ლაბორატორიის მაღალი ხარისხის ვაქცინებით უზრუნველყოფა.

5.2 მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ ქალქის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

5.2.1 უფასო სასადილოს დაფინანსება

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი (0-დან 150 000-მდე ქულის მქონე) მოსახლეობისა და სხვა უმწეო მდგომარეობაში მყოფი 1700 ბენეფიციარის ყოველდღიურად კვებით უზრუნველყოფა.

- 5.2.2 ვეტერანთა, დევნილთა და მარტოხელა სოციალურად დაუცველთა სარიტუალო მომსახურება ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის ხარჯების

ანაზღაურება, თითოეულ ბენეფიციარზე 300 ლარის ოდენობით (მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში); იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, თითოეულ ბენეფიციარზე 100 ლარის ოდენობით (მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში); ქ. რუსთავის ტერიტორიაზე მცხოვრები მარტოხელა სოციალურად დაუცველ პირთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, თითოეულ ბენეფიციარზე 150 ლარის ოდენობით.

5.2.3 სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შეღავათი სასმელი წყლის გადასახადზე

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 0–დან 57 000–მდე სარეიტინგო ქულის მქონე საციალურად დაუცველი ოჯახების სასმელი წყლის გადასახადისაგან გათავისუფლება (8 700-ზე მეტი ბენეფიციარი).

5.2.4 **სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, ვეტერანთა, შპს-ების, სსიპ-ებისა და ააიპ-ების თანამშრომელთა შეღავათი მუნიციპალური ტრანსპორტზე** ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 0–დან 150 000–მდე სარეიტინგო ქულის მქონე საციალურად დაუცველი მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის უზრუნველყოფა (11 300-ზე მეტი ბენეფიციარი); ქალაქში მცხოვრები ვეტერანების მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის უზრუნველყოფა (1 200-ზე მეტი ბენეფიციარი); შპს-ების, სსიპ-ებისა და სხვადასხვა ა(ა)იპ-ების თანამშრომლების მუნიციპალურ ტრანსპორტზე შეღავათები (2 000–მდე ბენეფიციარი).

5.2.5 ინდივიდუალური დახმარებების პროგრამა

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 2008 წლის რუსეთ–საქართველოს ომში, 2004 წლის აგვისტოს თვეში ქართულ–ოსური კონფლიქტის ზონაში დაღუპულ ჯარისკაცთა ოჯახებისა და ე.წ. მინდობით აღმზრდელი ოჯახების კომუნალური გადასახადების დაფარვა, თითოეულ ოჯახზე წელიწადში 500 ლარის ოდენობით.

5.2.6 **ქ. რუსთავში უხუცეს დღეგრძელთა (100 და მეტი ასაკის) დახმარება** ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები 100 წლის და 100 წელს გადაცილებული მოქალაქეების მატერიალურ დახმარება, თითოეულზე 300 ლარი.

5.2.7 **მუნიციპალურ მოხუცთა სახლი** ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოხუცების თავშესაფრით, კვებითა და სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა.

5.2.8 მოქალაქეთა მედიკამენტებით დახმარება ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია რუსთავში მცხოვრები 0–დან 150 000–მდე სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა და პენსიონერი მოქალაქეების მედიკამენტებით დახმარება.

5.2.9 სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 0–დან 150 000 ქულამდე სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი (4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახების მატერიალურ დახმარება, თითოეულ ბავშვზე 20 ლარის ოდენობით (625 ბენეფიციარი).

5.2.10 საბრძოლო ოპერაციებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- 2008 წლის რუსეთ–საქართველოს ომში და 2004 წლის აგვისტოს თვეში ქართულ–ოსური კონფლიქტის ზონაში დაღუპულ ჯარისკაცთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება თითოეულზე 100 ლარის ოდენობით (7 ბენეფიციარი);
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება თითოეულზე 50 ლარის ოდენობით (80 ბენეფიციარი).

5.2.11 დიდი სამამულო ომის მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ერთჯერადი მატერიალური დახმარება ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა ერთჯერადი დახმარება – თითოეულზე 100 ლარი და მათთან გათანაბრებულ პირთა ერთჯერადი დახმარება – თითოეულზე 50 ლარის ოდენობით (292 ბენეფიციარი).

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ქალაქში არსებული სოციალური ფონის გაუმჯობესება;
- მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება;
- ხანდაზმულ მოქალაქეთა დახმარება, ყურადღებისა და თანადგომის გამოხატვა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- წარმატებული სოციალური პროექტების რაოდენობა;
- სოციალურად უზრუნველყოფილი მოსახლეობის რაოდენობა.

ყოველივე ზემოხსენებული ღონისძიებების განხორციელების მიზანი არის რუსთავის ინფრასტრუქტურის განვითარება და ინვესტორთა წინაშე ეკონომიკურად მდგრადი ქალაქის წარმოჩენა, რაც მოიხიდავს მეტ კაპიტალდაბანდებებს და შექმნის მუდმივ სამუშაო ადგილებს. ეს უკანასკნელი გამოიწვევს ქალაქის ეკონომიკური პოტენციალის გაზრდას ხოლო მოსახლეობაში შემცირდება სოციალურად გაჭირვებულთა ფენა, რაც უპირველყოვლისა ქდადებითად აისახება. ქალაქის განვითარებაზე

დანართი # 11

9) მონიტორინგი და შეფასება

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის განვითარების საშუალოვადიანი პროგრამის შესრულების მონიტორინგს და შეფასებას ახდენს თვითმმართველი ქალაქის წარმომადგენლობითი ორგანო საკრებულო ამ დოკუმენტის მე-8-ე თავში მოცემული ინდიკატორების განთვალისწინებით. საკრებულო თვითმმართველი ქალაქის მერისაგან და მართვის ტერიტორიული ერთეულების ხელმძღვანელებისგან ისმენს ყოველწლიურ ანგარიშს პროგრამის შესრულების შესახებ.

ანგარიშის მოსმენის შემდეგ, ერთი კვირის ვადაში საკრებულოს მაჟორტარი დეპუტატები აწყობენ საჯარო განხილვებს თავიანთ ტერიტორიულ ერთეულებში და მოსახლეობას წარუდგენენ ანგარიშს. საჯარო განხილვის დროს ფასდება როგორც სტრატეგიის შესრულება, ასევე მასში შესაძლო ცვლილებების აუცილებლობა.

ცვლილებების საჭიროების შემთხვევაში, საჯარო განხილვის შემდეგ მართვის ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულები აგროვებენ შესატან ცვლილებებს და აწვდიან ამ დოკუმენტზე მომუშავე ჯგუფს. ამ რეკომენდაციების გათვალისწინებით ხდება საშუალოვადიანი პროგრამის რედაქტირება და ერთი კვირის ვადაში საკრებულოს წარედგინება თვითმმართველი ქალაქის განვითარების საშუალოვადიანი პროგრამის ახალი ვარიანტი. საკრებულო ამტკიცებს შესწორებულ ვარიანტს და უგზავნის მას მერიას აღსრულებისთვის. შესრულების ანგარიში, ისევე როგორც საჯარო მოსმენების ოქმი და დოკუმენტის შესწორებული ვარიანტი, განეკუთვნება საჯარო ინფორმაციას.

ამ დოკუმენტის ვადის გასვლამდე 1 წლით ადრე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გამოსცემს ბრძენებას და ქმნის განვითარების საშუალოვადიან პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელ ჯგუფს. რომელის მანდატია მოამზადოს ამ დოკუმენტის ახალი რედაქცია.

თვითმმართველი ქალაქის თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან მოქალაქეებს მიაწოდონ ნებისმიერი ინფორმაცია ამ დოკუმენტის განხორციელების, მის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოებისა და გახარჯული თანხების შესახებ.

მონიტორინგი ეფექტურობის გაზრდის მიზნით, საჭიროა ადგილობრივმა თვითმმართველობამ მეტი ყურადღება მიაქციოს სამოქალაქო მონიტორინგის გზალიერებას ქალაქში.

სამოქალაქო მონიტორინგი საშუალებას მისცემს ქალაქის ხელმძღვანელობას:

1. განსაზღვროს, თუ რამდენად პასუხობს ქალაქის თვითმმართველობების მიერ განხორციელებული საქმიანობები მოსახლეობის პრიორიტეტებსა და მოლოდინებს.
2. შეამოწმოს ჩატარებული სამუშაოების ხარისხი და მდგრადობა;
3. გაიცნოს მოსახლეობის პრიორიტეტები და მათზე დაყრდნობით მოახდინოს საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა.

ეს ყვლაფერი საშუალებას აძლევს ადგილობრივ თვითმმართველობას მუდმივი კავშირი ჰქონდეს მოსახლეობასთან. შედეგად გაიზრდება ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა მიმდინარე პროცესებში, საერთო ჯამში კი, ეს გააუმჯობესებს მოქალაქეებისათვის მუნიციპალური სერვისების მიწოდებას და გაზრდის ადგილობრივი თვითმმართველობის ავტორიტეტს.

10. შორსმიმავალი შედეგები

აღნიშნული სტრატეგიაში ჩამოყალიბებული და შემდგომში მოქალაქეთა ჩართულობის შედეგად განახლებული ან/და დამატებული პუნქტების შესრულების შედეგად, 2016 წლისათვის, ქალაქ რუსთავში.

1. გაუმჯობესდება ქალაქის ტექნიკური ინფრასტრუქტურა;
2. გაუმჯობესდება ქალაქის ეკოლოგიური ფონი;
3. გაუმჯობესდება სანვესტიციო გარემო;
4. გაიზრდება ქალაქში ჩადებული ინვესტიციების მოცულობა;
5. გაიზრდება ქალაქში დასაქმებულთა რაოდენობა;
6. შემცირდება სოციალურად დაუცველთა რაოდენობა, რაც გამოათავისუფლებს ქალაქის ბიუჯეტიდან სოციალურ საკითხებზე გამოყოფილ სახსრებს;
7. გაიზრდება ქალაქ რუსთავის, როგორც რეგიონის ცენტრის მიზიდულობა, რაც ხელს შეუწყობს მის ზრდას;
8. შესაძლებელი გახდება ქალაქის ბიუჯეტიდან გამოათავისუფებული სახსრების ჩადება სხვადასხვა ტექნოლოგიურ ნოვაციებში, რაც კარგ საფუძველს შექმნის ქალაქის შემდგომი პერიოდის მდგრადი განვითარებისათვის;

დანართი: №1

ქალაქში მუდმივ მცხოვრებთა რაოდენობა 2002 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით

	მუდმივოსახლეობა		
	ორივე სქესი	კაცი	ქალი
მოსახლეობა სულ	116,384	55,236	61,148
0-4 წლის	6,365	3,320	3,045
5-9 წლის	8,485	4,417	4,068
10-14 წლის	11,620	5,846	5,774
15-19 წლის	10,110	5,093	5,017
20-24 წლის	8,854	4,430	4,424
25-29 წლის	8,514	4,189	4,325
30-34 წლის	8,825	4,051	4,774
35-39 წლის	10,034	4,571	5,463
40-44 წლის	10,630	4,837	5,793
45-49 წლის	8,675	4,018	4,657
50-54 წლის	6,783	3,145	3,638
55-59 წლის	3,129	1,455	1,674
60-64 წლის	5,155	2,258	2,897
65-69 წლის	3,589	1,466	2,123
70-74 წლის	3,142	1,157	1,985
75-79 წლის	1,830	782	1,048
80-84 წლის	444	141	303
85-89 წლის	139	51	88
90-94 წლის	35	5	30
95-99 წლის	15	1	14
100 წლისა და უფროსი	2	1	1

დანართი # 2

ქალაქის კულტურისა და ხელოვნების ობიექტების ნუსხა

1	ა.ა.ი.პ რუსთავის ისტორიული მუზეუმი	მშენებელთა #17	მოქმედებს ორი მულტიმომექმედი ექსპოზიცია რუსთავის ზველი(ძვ.წ XVIII-ახ.წ XVIII ს.ს) თანამედროვე (XX საუკუნის II ნახ.)
2	რუსთავის ციხე	რუსთავის ტყე-პარკის ტერიტორია	არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილია სასახლე,აბანოები და სხვადასხვა დანიშნულების (ჭები,კოლექტორები და სხვა) ნაგებობები.
3	ა.ა.ი.პ რუსთავის თეატრი	ფიროსმანის #7	თეატრის სტრუქტურა: ადმინისტრაცია,დასი, სამხატვრო და ტექნიკური პერსონალი. თეატრის მარჯვენა ნაწილი: მცირე დარბაზი საბავშვო ქორეოგრაფიული ანსამბლი „ხალიბი“, „ხელოვნების კოლეჯი“, სტამბა.
4	ა.ა.ი.პ საბიბლიოთეკო გაერთიანება მთავარი ბიბლიოთეკა	შარტავას # 11	
5	შოთა რუსთაველის სახელობის #1 სამოქალაქო-საბავშვო ბიბლიოთეკა	რუსთაველის 19	
6	საბავშვო ბიბლიოთეკა „ნაკადული“	მეგობრობის გამზირი #3	
7	ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის #3 სამოქალაქო საბავშვო ბიბლიოთეკა	თოდრიას #4	
8	ა.ა.ი.პ კულტურის ცენტრი	წმინდა ნინოს #1	თეატრალური განყოფილება: „თოჯინების თეატრი“, მუს. სტუდია „აპრილი“. სასწავლო შემოქმედებითი- საგნობრივი წრეები. ანსამბლები: ვაჟთა ფოლკლორული „მე რუსთველი, ქალთა ფოლკლორული „თუთარჩელა“, ვაჟთა ვოკალური „ფიროსმანი“, ქორეოგრაფიული „სალხინო“, კამერული ორკესტრი და ჯაზ ბენდი.
9	ა.ა.ი.პ ზ.ფალიაშვილის სახ. ხელოვნების სკოლა- ბიუჯეტი.		240 მოსწავლე
10	ა.ა.ი.პ ფოლკლორის სკოლა		268 მოსწავლე
11	ა.ა.ი.პ რ. ლალიძის სახელობის #3 სამუსიკო სკოლა.		240 მოსწავლე
12	ა.ა.ი.პ ჯ. კახიძის სახელობის #4 სამუსიკო სკოლა		200 მოსწავლე

13	ა.ა.ი.პ ნ. ფიროსმანის სახელობის სამხატვრო სკოლა		70 მოსწავლე
14	ს.ს.ი.პ სკოლის გარეშე სახელოვნობო საგანმანათლებლო დაწესებულება „ქ. რუსთავის სამუსიკო სასწავლებელი“		80 მოსწავლე

დანართი # 3

კულტურულ რეკრეაციული ინფრასტრუქტურა

	2009	2010	2011
ბიბლიოთეკები			
მასობრივი და უნივერსალური ბიბლიოთეკები	4	4	4
მკითხველთა რ-ბა,	7701	5971	6864
თეატრები			
თეატრები	2	2	2
ადგილების რიცხვი	604	604	604
პრესა და ტელევიზია			
ამოცემული პერიოდიკა (გაზეთები, ჟურნალები), დასახელებათა რაოდენობა	2	3	3
შატელევიზიო მაუწყებელთა რაოდენობა	1	1	1
შაკაბელო ტელევიზიათა რაოდენობა	1	1	3
პარკები და სკვერები			
პარკების რაოდენობა	4	4	4
პარკების ფართობი, ჰა	413ა	413ა	413ა
სკვერების რაოდენობა	6	6	6
სკვერების ფართობი, ჰა	113ა	113ა	113ა
სპორტული მოედნები			
სტადიონები	3	3	3
სტადიონებზე ადგილების რიცხვი	10780	10780	10780

დანართი # 4

ქალაქში მოქმედი მსხვილი საწარმოების ნუსხა

	საწარმოს დასახელება	საქმიანობის სახე
1	შპს "ჯეოსთილი"	ფოლადის მიღების წარმოება
2	შპს "რუსთავის აზოტი"	მინერალური სასუქების წარმოება
3	შპს "რუსმეტალი"	თუჯის, ფოლადისა და ფეროშენადნობების წარმოება
4	სს "ქართული ფოლადი"	ფოლადის მიღების წარმოება
5	შპს "ვაგონშენებელი კომპანია"	რკინიგზისა და ტრამვაის ლოკომოტივებისა და მოძრავი შემადგენლობის რემონტი (სპეციალიზებული)
6	შპს "პროგრესი"	ფქვილის წარმოება
7	ს/ს კავკასიან პეტ კომპანი	პლასტმასის ტარის წარმოება
8	შპს "ვეჯინი"	საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში, ძირითადად საკვები პროდუქტებით, სასმელებითა და თამბაქოს ნაწარმით
9	სს "რუსთაველი"	აირისებრი სათბობის განაწილება მილსადენებით და მისი გაყიდვა
10	შპს "დელტა-კონტაქტი"	მავთულის ნაკეთობების წარმოება
11	შპს "რუსთავის წყალი"	წყლის დაგროვება, გაწმენდა და განაწილება
12	შპს "ემენ ქემიკალ ჯორჯია"	დანარჩენი ძირითადი არაორგანული ქიმიური ნივთიერებების წარმოება
13	ის "ლევანი მინდორაშვილი"	საკვები პროდუქტებით, სასმელების ჩათვლით, და თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობასთან დაკავშირებული აგენტების საქმიანობა
14	შპს "ალფა პეტ"	პლასტმასის ტარის წარმოება
15	შპს "ჯეოფერომეტალი"	თუჯის, ფოლადისა და ფეროშენადნობების წარმოება
16	შპს "რუსთავი-50"	სხვა საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში
17	შპს "რუსთავის ავტობაზრობა"	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი მომსახურების გაწევა მომხმარებლისათვის
18	შპს "მადოპავაგი +"	სამუშაო ძალის დაქირავება და პერსონალის შერჩევა
19	შპს "პრინცი"	სხვა საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში
20	შპს "გზატკეცილი +"	გზებისა და აეროდრომების მშენებლობა
21	შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია"	ელექტროკავშირი
22	შპს "სანიტარი"	ნაგვის აღება
23	შპს "ტომარა"	პლასტმასის ტარის წარმოება

24	შპს "კანო"	ლითონის სამშენებლო ნაკეთობების წარმოება
25	შპს "ნიკა-2004"	თუჯის, ფოლადისა და ფეროშენადნობების წარმოება
26	შპს "სინათლე"	ცემენტის წარმოება
27	შპს "კონსტრუქცია"	ფოლადის სამშენებლო კონსტრუქციების წარმოება
28	შპს "გუმანა"	საბითუმო ვაჭრობა საშენმასალებით
29	შპს "ფლორეალი"	საბითუმო ვაჭრობა პარფუმერული და კოსმეტიკური საქონლით
30	შპს "დიდოსტატი"	ცემენტის წარმოება
31	შპს "ნიკოლი 2010"	საბითუმო ვაჭრობა საშენმასალებით
32	ი.მ "ლია იმერლიშვილი"	საბითუმო ვაჭრობა თამბაქოს ნაწარმით
33	შპს "მოტორსტარი"	საცალო ვაჭრობა ავტომობილების დეტალებით, კვანძებითა და საკუთნოებით
34	შპს "ალგეთი"	შენობების საერთო მშენებლობა
35	შპს "ბანუ"	საბითუმო ვაჭრობა შავი და ფერადი ლითონების ჯართითა და ნარჩენებით
36	ს.ს. "რუსთავის ცენტრალური საავადმყოფო"	ფართო პროფილისა და სპეციალიზებული საავადმყოფოების საქმიანობა
37	სს "სარინი"	ლითონის სამშენებლო ნაკეთობების წარმოება
38	კს "კალანდაძე"	საცალო ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით
39	შპს "რუსთავი ტრეიდი"	საკვები პროდუქტებით, სასმელების ჩათვლით, და თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობასთან დაკავშირებული აგენტების საქმიანობა
40	კს. "კოწიწაშვილი და კომპანია"	შენობების საერთო მშენებლობა
41	შპს "რუსთავი ინდუსტრია გრუპ"	საბითუმო ვაჭრობა დაუმუშავებელი შავი და ფერადი ლითონებით
42	შპს "მეტალ ჯორჯია ა.ნ.ჯ."	თუჯის, ფოლადისა და ფეროშენადნობების წარმოება
43	შპს "დათა"	საბითუმო ვაჭრობა ალკოჰოლიანი და სხვა სასმელებით
44	შპს "გ.ვ.ლ.გ. 2008"	არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა კვების პროდუქტებით, სასმელების ჩათვლით, და თამბაქოს ნაწარმით
45	შპს "თდვ"	სხვა საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში
46	შპს "ჯეობიტი"	საბითუმო ვაჭრობა კომპიუტერებითა და პერიფერიული მოწყობილობებით
47	შპს "სანტექს"	საბითუმო ვაჭრობა სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობებით
48	შპს. "საქმექანომონტაჟსპეცმშენი"	შენობების საერთო მშენებლობა
49	ს.ს. "სამშობიარო სახლი"	სამშობიარო სახლების საქმიანობა
50	შპს "ლელო 86"	სხვა საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში
51	შპს "მეგალითი შ"	შენობების საერთო მშენებლობა
52	შპს "პაკო ბარნაბე"	არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა კვების პროდუქტებით, სასმელების ჩათვლით, და თამბაქოს ნაწარმით
53	შპს "ლიანდაგი - 2007"	გზებისა და აეროდრომების მშენებლობა
54	შპს "ჯეოპეტ.ჯი"	საბითუმო ვაჭრობა საქონლის ფართო ასორტიმენტით კონკრეტული სპეციალიზაციის გარეშე
55	შპს „მშენებელი 2004“	ცემენტის წარმოება
56	შპს "სვიანა"	სხვა საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში
57	შპს "ქართული ფოლადის სამკურნალო ცენტრი"	ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობა

58	ს.ს რუსთავი N2-ე სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრი	ფართო პროფილისა და სპეციალიზებული საავადმყოფოების საქმიანობა
59	შპს "კლინიკა რუსთავი"	ფართო პროფილისა და სპეციალიზებული საავადმყოფოების საქმიანობა
60	შპს "სერვის მომსახურება 2009"	ნაგვის აღება

დანართი # 5

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საბიუჯეტო შემოსულობების 2008-2012 წწ

ინფორმაცია	2008 წელი	2009 წელი	2010 წელი	2011 წელი	2012 წელი
შემოსულობები, მათ შორის:	31 189,7	23 340,6	28 974,2	42 937,6	49 645,9
გადასახადები	4 520,1	4 182,3	5 085,9	6 086,3	5 913,6
გრანტები	14 024,5	10 659,1	16 710,2	26 647,4	30 040,9
სხვა შემოსავლები	3 232,5	3 451,6	4 374,9	4 169,0	3 974,5
არაფინანსური აქტივების კლება	5 296,1	3 575,5	1 384,6	3 785,8	2 010,8
ფინანსური აქტივების კლება	-	-	-	949,0	119,3
წინა წლის ნაშთი	4 116,5	1 472,0	1 418,5	1 300,1	7 586,7
გადასახდელები	29 679,7	21 918,8	27 540,7	35 449,2	48 700,4

დანართი # 6

შობადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებელი ქალაქ რუსთავში 2008-2011 წწ

წელი	დაიბადა	გარდაიცვალა
2008	1519	1151
2009	1666	1261
2010	1824	1095
2011	2078	1107

დანართი #7

პროგრამ. კოდი	დასახელება	2013 წლის გეგმა	2014 წლის პროგნოზი	2015 წლის პროგნოზი	2016 წლის პროგნოზი
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	1,272.6	2,120.0	2,360.0	2,048.0
02 01	საგანგებო სიტუაციების მართვა	941.5	1,700.0	1,900.0	1,578.0
02 03	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	331.1	460.0	470.0	331.1

დანართი #8

პროგრამ. კოდი	დასახელება	2013 წლის გეგმა	2014 წლის პროგნოზი	2015 წლის პროგნოზი	2016 წლის პროგნოზი
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	10,181.7	14,245.0	14,240.0	14,725.0
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	1,400.0	2,500.0	2,300.0	2,300.0
03 01 01	გზების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1,400.0	2,500.0	2,300.0	2,300.0
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	7,623.7	9,895.0	9,600.0	9,855.0
03 02 01	საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა	3,233.7	4,550.0	3,800.0	3,700.0
03 02 01 01	საცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაცია	0.0	500.0	650.0	750.0
03 02 01 02	მრავალსართულიან საცხოვრებელ შენობებში ლიფტების რეაბილიტაცია	1,394.6	200.0	250.0	300.0
03 02 01 03	საცხოვრებელი კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია	0.0	1,800.0	900.0	700.0
03 02 01 04	ააიპ "რუსთავის კორპუსი" – ამხანაგობების ხელშეწყობა	1,839.1	1,600.0	1,700.0	1,800.0
03 02 01 05	შენობების გაზიფიცირება	0.0	450.0	300.0	150.0
03 02 02	გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1,400.0	2,000.0	2,300.0	2,600.0
03 02 03	დასუფთავება	2,580.0	2,900.0	3,000.0	3,000.0
03 02 03 01	დასუფთავების ღონისძიებები	2,030.0	2,200.0	2,400.0	2,500.0
03 02 03 03	შპს "ნაგავსაყრელი"	550.0	700.0	600.0	500.0
03 02 05	ააიპ "უზრუნველყოფა" – მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების შენახვის ხარჯები	370.0	405.0	460.0	515.0
03 02 06	მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა	40.0	40.0	40.0	40.0
03 03	კეთილმოწყობის ღონისძიებები	620.0	1,650.0	2,140.0	2,370.0
03 03 01	შადრევნების მოვლა-პატრონობა	50.0	600.0	700.0	800.0

პროგრამა კოდი	დასახელება	2013 წლის გეგმა	2014 წლის პროგნოზი	2015 წლის პროგნოზი	2016 წლის პროგნოზი
03 03 02	გამწვანებისა და გადაბეღვის ხარჯები	250.0	400.0	500.0	600.0
03 03 03	სკვერების რეაბილიტაცია	50.0	300.0	500.0	500.0
03 03 04	არასაცხოვრებელი შენობების რემონტი	100.0	0.0	0.0	0.0
03 03 06	ძველ რუსთავში მერიის შენობის წინ მდებარე მოედნის რეაბილიტაცია	20.0	0.0	0.0	0.0
03 03 08	სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის ხარჯები	150.0	350.0	440.0	470.0
03 04	მუნიციპალური ავტოტრანსპორტის დოტაცია	275.0	200.0	200.0	200.0
03 05	ავტობუსების შეძენა და სალარო აპარატების მონტაჟი	263.0	0.0	0.0	0.0

დანართი # 9

პროგრამა კოდი	დასახელება	2013 წლის გეგმა	2014 წლის პროგნოზი	2015 წლის პროგნოზი	2016 წლის პროგნოზი
04 00	განათლება	2,436.7	2,940.0	2,510.0	2,410.0
04 01	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	2,426.7	2,930.0	2,500.0	2,400.0
04 01 01	ააიპ "ბაგა-ბაღების გაერთიანება"	2,038.6	1,600.0	1,650.0	1,700.0
04 01 02	ააიპ "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი"	268.1	230.0	250.0	300.0
04 01 03	ბაგა-ბაღების რეაბილიტაცია	120.0	1,100.0	600.0	400.0
04 02	საშუალო განათლების ხელშეწყობა	10.0	10.0	10.0	10.0
04 02 01	ინკლუზიური სწავლების დაფინანსება	10.0	10.0	10.0	10.0

დანართი # 10

პროგრამა კოდი	დასახელება	2013 წლის გეგმა	2014 წლის პროგნოზი	2015 წლის პროგნოზი	2016 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	11,067.4	3,780.0	3,750.0	3,775.0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	7,616.1	1,350.0	1,340.0	1,320.0
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	0.0	50.0	60.0	70.0
05 01 02	ააიპ "ქ. რუსთავის სასპორტო სკოლების გაერთიანება"	675.0	800.0	830.0	850.0
05 01 03	რაგბის კლუბი "რუსთავის ხარების" უმაღლეს ლიგაში მონაწილეობისათვის	230.0	0.0	0.0	0.0
05 01 04	შპს "საკალათბურთო კლუბი რუსთავი"	235.0	0.0	0.0	0.0
05 01 05	საბავშვო და სპორტული მოედნების	0.0	500.0	450.0	400.0

პროგრამ. კოდი	დასახელება	2013 წლის გეგმა	2014 წლის პროგნოზი	2015 წლის პროგნოზი	2016 წლის პროგნოზი
	მოწყობა-რეაბილიტაცია				
05 01 07	სპორტის სასახლის მშენებლობა	6,476.1	0.0	0.0	0.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	3,276.3	2,240.0	2,210.0	2,245.0
05 02 01	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	90.0	380.0	480.0	580.0
05 02 01 01	სადღესასწაულო ღონისძიებების დაფინანსება	20.0	30.0	30.0	30.0
05 02 01 03	საახალწლო ღონისძიებების ხარჯი	30.0	150.0	200.0	250.0
05 02 01 04	რუსთაველაეპოზის ღონისძიება	40.0	200.0	250.0	300.0
05 02 02	სახელოვნებო სკოლები	300.0	325.0	350.0	375.0
05 02 02 01	ააიპ "ზაქარია ფალიაშვილის სახ. ხელოვნების სკოლა"	70.0	75.0	80.0	85.0
05 02 02 02	ააიპ "ფოლკლორი სსკოლა"	65.0	70.0	75.0	80.0
05 02 02 03	ააიპ "რევაზ ლალიძის სახ. №3 სამუსიკოსკოლა"	70.0	75.0	80.0	85.0
05 02 02 04	ააიპ "ჯანსუღ კახიძის სახ. №4 სამუსიკოსკოლა"	65.0	70.0	75.0	80.0
05 02 02 05	ააიპ "ნიკო ფიროსმანის სახ. სამხატვრო სკოლა"	30.0	35.0	40.0	45.0
05 02 03	კულტურის სახლები	728.8	735.0	760.0	800.0
05 02 03 01	ააიპ "რუსთავის თეატრი"	368.8	370.0	380.0	400.0
05 02 03 02	ააიპ "კულტურის ცენტრი"	360.0	365.0	380.0	400.0
05 02 04	ააიპ "რუსთავის ისტორიული მუზეუმი"	100.0	110.0	120.0	130.0
05 02 05	ააიპ "რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება-ილიაჭავჭავაძის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა"	197.5	190.0	200.0	210.0
05 02 07	კულტურისა და დასვენების პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები	1,860.0	500.0	300.0	150.0
05 03	ააიპ "რუსთავის ახალგაზრდული ცენტრი"	160.0	160.0	170.0	180.0
05 04	მეუფის რეზიდენციისა და ტაძრების დახმარება	15.0	30.0	30.0	30.0

დანართი # 11

პროგრამ. კოდი	დასახელება	2013 წლის გეგმა	2014 წლის პროგნოზი	2015 წლის პროგნოზი	2016 წლის პროგნოზი

პროგრამ. კოდი	დასახელება	2013 წლის გეგმა	2014 წლის პროგნოზი	2015 წლის პროგნოზი	2016 წლის პროგნოზი
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2,550.2	2,472.5	2,602.5	2,731.5
06 01	ააიპ "ქ. რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი" –საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	215.0	218.0	218.0	226.0
06 02	სოციალური პროგრამები	2,335.2	2,254.5	2,384.5	2,505.5
06 02 01	უფასო სასაბინო დაფინანსება	900.0	900.0	1,000.0	1,100.0
06 02 02	ვეტერანთა სარიტუალო მომსახურება	12.0	12.0	12.0	12.0
06 02 03	დევენილთა სარიტუალო მომსახურება	3.0	3.0	3.0	3.0
06 02 04	მარტოხელა სოციალურად დაუცველ პირთა სარიტუალო მომსახურება	3.0	3.0	3.0	4.0
06 02 05	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შეღავათი სასმელი წყლის გადასახადზე და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე	315.0	320.0	320.0	320.0
06 02 06	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, ვეტერანთა, სსიპ-ებისა და ააიპ-ების თანამშრომელთა შეღავათი მუნიციპალურ ტრანსპორტზე	350.0	350.0	350.0	350.0
06 02 07	ინდივიდუალური დახმარებების პროგრამა	26.0	60.0	70.0	70.0
06 02 08	ქ. რუსთავში უხუცეს დღეგრძელთა (100 დამეტიასაკის) დახმარება	1.2	1.5	1.5	1.5
06 02 09	მუნიციპალურმოხუცთასახლი	250.0	250.0	250.0	250.0
06 02 10	მოქალაქეთა მედიკამენტებით დახმარება	300.0	180.0	190.0	200.0
06 02 11	სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების (4 დამეტიშვილი 18 წლამდე ასაკის) დახმარება	150.0	150.0	160.0	170.0
06 02 12	საბრძოლო ოპერაციებსა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის სდალუპულთა ოჯახების წევრებისათვის სმატერიალური დახმარება	5.0	5.0	5.0	5.0
06 02 13	დიდი სამამულო ომი სმონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა მატერიალური დახმარება	20.0	20.0	20.0	20.0

სარჩევი

1.შესავალი	1
2.სოციალურ–ეკონომიკური პროფილი.....	2
2.1 მოსახლეობა	2
• დემოგრაფიული დინამიკა.....	2
• ეკონომიკური აქტივობა და დასაქმება.....	3
2.2 ეკონომიკა და ინფრასტრუქტურა.....	4
• ეკონომიკა.....	4
• წარმოება.....	5
• ტურიზმი	5
• მომსახურების სფერო.....	5
• მცირე და საშუალო ბიზნესი.....	5
• ბუნებრივი გაზი და ელ.ენერჯია.....	5
2.3 ინფრასტრუქტურა.....	5
• სასმელი წყალი და კანალიზაცია.....	6
• მუნიციპალური ტრანსპორტი.....	6
• გზები.....	6
2.4 სოციალურ–კულტურული, განათლების, ახალგაზრდული და სპორტული სფეროები.....	7
• კულტურა და ახალგაზრდობა.....	7
• უმაღლესი განათლების დაწესებულებები.....	7
• ისტორიული მემკვიდრეობა	8
• ნაკრძალები და დაცული ტერიტორიების სხვა კატეგორიები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), პარკები, სტადიონები.....	9
• ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.....	9
• პოლიკლინიკები და საავადმყოფოები.....	9
3. „მერების შეთანხმება“ და რუსთავის განვითარების სტრატეგია.....	10
4. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მყარი ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხანა.....	11
5. ფაქტორული ანალიზი (SWOT).....	12
6.მუნიციპალიტეტის/ქალაქის ხედვა 2017 წლისთვის.....	17

7. გამოწვევები და განვითარების პრიორიტეტები.....	17
• ქალაქის ბუნებრივი რესურსების შესწავლა მათი ექსპლუატაციის პროცესის ოპტიმიზაციის მიზნით.....	17
• სპორტის, კულტურის, ახალგაზრდობის და ტურიზმის რესურსების განვითარების ხელშეწყობა.....	18
• სოციალურ– ეკონომიკური კაპიტალის განვითარება.....	19
• ინფრასტრუქტურა.....	20
• ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება.....	20
8. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის პროგრამების, მათი აღწერის, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორები.....	21
1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.....	21
2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია).....	22
3. განათლება	26
4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	27
5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა..	31
9. მონიტორინგი და შეფასება.....	35
10. შორსმომავალი შედეგები.....	36
11. დანართები.....	36